# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 13 იანვარი 1998 №3 (538) ფასი 40 თეთრი


# თემურ ქეცბაია

## ნიუკასლიდან ლონდონში გადაბარგებას აპირებს

### ქართველი ნახევარმცველის გადაბირებას „კრისტალ პალასი“ ლამობს

გუშინ ინგლისურმა გაზეთებმა ქართველებისთვის საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს, პრემიერლიგის „კრისტალ პალასი“ თემურ ქეცბაიას ეპატიჟება და მზად არის, „ნიუკასლის“ ნახევარმცველში მილიონი, მილიონნახევარი ფუნტი გადაიხადოს. ლონდონელთა მწვრთნელ სტივ კოპელს თემური მას შემდეგ მოსვლია თვალში, რაც ჩვენებურმა მისი გუნდის წინააღმდეგ ძალიან კარგად ითამაშა. ახლა ყველაფერი ქეცბაიაზეა დამოკიდებული. თემურს გუშინვე დავურეკე, სიმართლეა თუ ჭორები, რასაც შენზე წერენ-მეთქი. კი, ნამდვილად ასეა, კრისტალელებს მართლაც სურთ ჩემი გადაბირება, მეც თანახმა ვარ. აბა, აქ რა ვაკეთო, ბოლო თამაშებში სულ შეცვლაზე გავყავარ დალგლიშსო, მიპასუხა. შემდეგ ცოტა მივდექ-მოვდექი და თავად კენი დალგლიშის ნალაპარაკევიც გავიგე — „კრისტალ პალასმა“ წაიყვანოს ქეცბაია, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ მათი შემოთავაზებული თანხა მეცოტავება, თუ 2,5 მილიონს გადაიხდიან, სიამოვნებით დავუთმობთო. ამ დროისთვის სულ ეს არის, ვნახოთ, რა გამოვა, ყოველ შემთხვევაში, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ქეცბაია „ნიუკასლში“ დიდხანს გაჩერებელი აღარ არის, თანაც, თავად მითხრა, ხასიათიც წამიხდაო.

რაც შეეხება გიოს, ახალი არაფერია. ის ხომ გაუწყეთ, ქინქლაძით „ევერტონი“ დაინტერესდაო, ჰოდა, გიომ ამ ვარიანტზე თავადვე რომ თქვა უარი, ახლა ამათგანაც არაფერი ისმის. ქინქლაძეს „ლივერპულში“ თამაში სურს, მაგრამ კონკრეტული არაფერი თქმულა. ჰო, კინაღამ დამავიწყდა: ძველით საახალწლოდ მანჩესტერში საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა ცხადაძე ჩამოვიდა და მურთაზ შელიასთან სტუმრობს.

**დავით მჭედლიშვილი** **ლონდონიდან**



# როնალდიადი!



## რონალდო 1997 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია

წუხელ, საქართველოს დროით ღამის 12 საათზე, პარიზის დისნეილენდში გაიმართა გალა წარმოდგენა — ფიფამ 1997 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს თავისი ჯილდო გადასცა. ვინ იყო მსოფლიო ფეხბურთის ცენტრის რჩეული ნათელია, ის ვინც პრიზს 1996 წელსაც დაესაკუთრა, ის, ვინც ახლახანს, წელთაგასაყარზე ყველა რეფერენდუმში გაიმარჯვა, შეიქნა „უორლდ სოკერის“ დაწესებული გულშემატკივართა ჯილდოს მფლობელი, „ფრანს ფუტბოლის“ ჟურნალისტთა გამოკითხვის გამარჯვებული, „ონზ მონდიალის“ რჩეული და ფიფას კონკურსის ლაურეატი ანუ მსოფლიოს ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელების მიერ აღიარებული. იგია ბრაზილიელი ვარსკვლავბიჭუნა, მილანის „ინტერის“ თავდამსხმელი რონალდო.

დახეთ მწვრთნელთა გამოკითხვის შედეგს: 121 სპეციალისტიდან 86-მა რონალდოს პირველი ადგილი მიაკუთვნა.

— ასეთივე პრიზის 1996 წელს მიღებამ მუშაობაში ხელი შემიწყო. იგი ერთხელაც რომ არ მომეპოვებინა, ძლიერ დამწყდებოდა გული — თქვა 21 წლის ჭაბუკმა, რომელმაც უკვე მიაღწია ფეხბურთის თვალუწვდენელ მწვერვალს და კარიერის დასაწყისშივე ლეგენდობას შეეთამაშა.

— მინდა მადლობა მოვახსენო ყველა მწვრთნელს, ვისაც კი ბავშვობიდან მოყოლებული წვლილი მიუძღვის ჩემს ფეხბურთელად აღზრდაში. მადლობა იმ ხალხს, ვინც ზედიზედ მეორედ დამასახელა მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ. მადლობა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასა და მთელს ნაკრებს.

— ჯერ ძლიერ ახალგაზრდა ვარ და სხვა ჯილდოებისა და ტიტულების მოსაპოვებლად დრო მაქვს. ფეხბურთის თამაშს თავს იმ დღეს დავანებებ, როცა ვიგრძნობ, რომ სტიმული გამომეცალა.

— რეფერენდუმში მეორე ადგილზე გასული რობერტო კარლოსი ჩემი მეგობარია. ის მეტად ძლიერი ფეხბურთელია, რომელმაც ბოლო ხანს ფრიად გააუმჯობესა თამაში.

— ჟიუსტ ფონტენის რეკორდი (13 გოლი 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე) დიდებული შედეგია. დიდი სიამოვნებით დავამხობდი მას, მაგრამ მთავარი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულია.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული რონალდოს უკვე აქვს. 17 წლის იყო 1994 წელს ბრაზილიის ნაკრებმა აშშ-ში თასი რომ მოიპოვა. მაშინ რონალდოც გუნდში იყო და თუმც ერთი წუთითაც არ შეუყვანიათ მოედანზე, როგორც გამარჯვებულთა გუნდის წევრს, ოქროს მედალი გადასცეს, მაგრამ ვარსკვლავს ეს ცხადია არ აკმაყოფილებს. მას ნამდვილი ოქრო იზიდავს, თავისი შრომითა და არნახული ნიჭით მოპოვებული.

წლის საუკეთესო ფეხბურთელის გარდა ფიფამ სხვა ლაურეატებიც დააჯილდოვა. ყველაზე დიდი პროგრესისთვის პრიზი იუგოსლავიის ნაკრებს გადაეცა, 1997 წლის უძლიერეს გუნდად ბრაზილიის ნაკრები დასახელდა. „ფეარ პლეის“ ნომინაციაში კი სამი ჯილდო დარიგდა. ყველაზე კორექტული გულშემატკივრობისთვის ირლანდიელებს ერგოთ საგანგებო თასი, ამერიკელი ფეხბურთელი ქალის ჯული ფაუნდის ჯილდო იმით იყო ყურადსაღები, რომ აქამდე ქალს ფიფას პრიზი არ მიელო. ფიფას პრიზი არ მიელო ამერიკელსაც. მესამე თასი გადაეცა იოზეფ ზონიჩს, ვეტერან მოთამაშეს, რომელსაც მთელი თავისი კარიერის მანძილზე ყვითელი ბარათი არ მიუღია.

**1997 წლის მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | რონალდო (ბრაზილია) | 86 | 16 | 2 | 480 |
| 2. | რობერტო კარლოსი (ბრაზილია) | 5 | 11 | 7 | 65 |
| 3. | დენის ბერგკამპი (ჰოლანდია) | 7 | 7 | 6 | 62 |
| | ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) | 1 | 16 | 4 | 22 |
| 5. | რაული (ესპანეთი) | 2 | 9 | 14 | 18 |
| 6. | ალესანდრო დელ პიერო (იტალია) | 2 | 4 | 5 | [illegible] |
| 7. | დავორ შუკერი (ხორვატია) | 1 | 4 | 3 | [illegible] |
| 8. | გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) | 1 | 3 | 2 | [illegible] |
| | ალან შირერი (ინგლისი) | 0 | 5 | 1 | [illegible] |
| 10. | ლეონარდო (ბრაზილია) | 2 | 1 | 1 | [illegible] |
| | პეტერ შმაიხელი (დანია) | 1 | 2 | 3 | [illegible] |

ცხრილში მოცემულია პირველი, მეორე, მესამე ადგილების რაოდენობა და ქუ[illegible]

**[illegible]ზიძაძე**

იყო დრო, ქართველებს როტერდამის „ფეიენოორდის" გაგონებაც არ გვსურდა. ჩვენი „დინამო" და ჰოლანდიელები სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ შეერკინნენ ერთმანეთს, იმ ორკვირეულს ვგულისხმობთ. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, „ფეიენოორდმა" ავტორიტეტი შეინარჩუნა, კვლავაც პრესტიჟული გუნდის სახელი აქვს, „დინამო" კი, ყველამ კარგად იცით, რა დღეშიცაა.

რამდენიმე დღის წინ ძველი მტრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ოღონდ, არა საფეხბურთო მოედანზე. ამათი წარმომადგენლები მაგიდას მიუსხდნენ და საფუძვლიანად მოილაპარაკეს, თანაც, შემდგომი პერიოდისთვის საკმაოდ თბილი ურთიერთობა დაიბევეს. ამის მთავარი მიზეზი დინამოელი გიორგი დემეტრაძის ოთხი თვე პლუს ხუთწლიანი კონტრაქტია, ამას წინათ „ფეიენოორდთან" რომ გაფორმდა.

ეს ამბავი გუშინ გაცნობეთ, დღეს კი უკვე ახალ გუნდთან ერთად სიცილიაზე მოსამზადებლად გამგზავრებულ გიორგი დემეტრაძესთან საუბარს გთავაზობთ, რომელსაც როტერდამის „ოტელ სავოიში" შევეხმიანეთ. დრო კი ცოტა გვქონდა, უკვე შუაღამე გახლდათ, მაგრამ ფეიენოორდის ამბებზე მაინც საკმაოდ ვილაპარაკეთ, ჯერჯერობით, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

# ლელო — დემეს: აბა, ჰეი!



დემემ მოლდოველები დააშამათა. რიგში ჰოლნდიელები არიან

— „სავოი" კარგი სასტუმრო იქნება...

— კი, მართლაც მშვენიერია აქაურობა, მაგრამ მაინც სასტუმროა. სახლი სხვაა. დროებით მიქირავეს კეთილმოწყობილი ნომერი, ბინაც მალე მექნება.

**— მალე, როდის? კონტრაქტი ხომ გააფორმე?**

— რამდენიმე საათში სიცილიაზე მივფრინავთ 12-დღიან შეკრებაზე. „ფეიენოორდის" ხელმძღვანელები შემპირდნენ და უკვე გადაწყვეტილიცაა — იტალიიდან ჩამოსვლისთანავე სამოთახიან კომფორტულ ბინას მომცემენ. ამას „ოპელის" ფირმის მანქანასაც მოაყოლებენ, კლუბის ფეხბურთელებისთვის რომ არის განკუთვნილი. ყველა ამ ფირმის მანქანით სარგებლობს.

**— ახალი თანაგუნდელები როგორ შეგხვდნენ?**

— არც კი ველოდი, ისეთი თბილი და მეგობრული გუნდია, ძმებივით არიან. ისე მიმიღეს, თითქოს კარგა ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით, კაცივშვილს არ უგრძნობინებია, ახალი ხარო. განსაკუთრებით რუს იგორ კორნეევს დავუახლოვდი, მისგანაც ვგრძნობ, ჩემთან ურთიერთობით კმაყოფილი რომ არის, სულ ჩემს გვერდითაა.

**— რაო, ლეო ბეენჰაკერი რას ამბობს?**

— პირადად არ გვისაუბრია, ვერც დავიჩემებ, უზომოდ გახარებულია ჩემი აქ ჩამოსვლით-მეთქი, მაგრამ ფაქტი კია, ვარჯიშებზე კეთილი თვალით მიყურებს, ყურადღებას არ მაკლებს. კარგი კაცი ჩანს, ვეცდები, გავუმართლო.

**— შენს შესახებ ინფორმაცია ექნებოდა.**

— ვერ გეტყვი, იცოდნენ თუ არა, დემეტრაძე ვინც იყო. თუმცა, ჩემი ერთვენების გამო ერთი-ორი ქათინაურიც მოვისმინე. ტყუპების დამსახურებაა, ჰოლანდიაში ნებისმიერი ქართველი პატივისცემით სარგებლობს. თანაც „დინამოდან" რომ წამოვედი, ესეც გარკვეულ როლს თამაშობს, ახლაც ახსოვთ მაშინდელი წაგება.

**— უდავოა, „ფეიენოორდი" ძალიან ძლიერი კლუბია. თავის იმედი თუ გაქვს?**

— ჩემი თავის იმედი რომ არ მქონოდა, აქ ჩამოვიდოდი? „ფეიენოორდი" ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარია, მეც, ასე თუ ისე, ტექნიკური მოთამაშე მეთქმის. თუმცა, ავადმყოფობისა და ხანგრძლივი უთამაშებლობის გამო ფიზიკურად ცოტა დავსუსტდი. ბეენჰაკერმაც იცის ამის შესახებ, როგორც გავიგე, უთქვამს, ფიზიკურად უნდა მოვამაგროთო. ამიტომაცაა, მწვრთნელი საკმაოდ მტვირთავს, თანაც ყოველდღე ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს, სიცილიაზე ალბათ, დატვირთვას გაგვიორმაგებს, მეც ...ს მინდა, სეზონის განახლებას ჩვეულ ...მაში თუ შევხვდი, ამას რა სჯობს.

**— ...ენის პრობლემა არ გაწუხებს?**

— ...ჯერჯერობით ყველაფერს კორნე... თარგმნის, ჩემი თარჯიმნის მოვა...ას ასრულებს. თანაც არ იმადლე... ...ო მოვა და სხვა საქმეში შენ ...ვებიო. ერთხელ, პირველი ვარჯიშის მერე სასტუმროს მივაშურე მოსასვენებლად. კორნეევი გამომეკიდა, სად მიდიხარ, რომ მიდიხარ, ერთ საათში მეორე ვარჯიში გვაქვსო. ვიფიქრე, მეხუმრება-მეთქი, თურმე მართალი უთქვამს. მეც მოვტრიალდი, კიდევ ვივარჯიშე, რეჟიმის დარღვევა არავის ეპატიება.

„ფეიენოორდში" ყველა პროფესიონალია, თავის საქმისა თავადვე უწყიან, ისეთს არავინ გააკეთებს, თავს და გუნდს რომ ავნოს. თანაც პირობებია ბრწყინვალე, გინდა არ გინდა, ვარჯიშის გუნებაზე მოგიყვანს. აქ ჩამოსვლისთანავე ყველაფერი დამათვალიერებინეს, სტადიონისთვის რეკონსტრუქცია გაუკეთებიათ, ახლა ორმოცდაათი ათასს იტევს, რაღაც ენით აუწერელი სანახაობაა. იქვე მეორე სათადარიგო მინდორია, სადაც ვვარჯიშობთ ხოლმე, საცხოვრებელი კორპუსიც ახლოსაა. ქართულ პირობებთან შედარებაც არ შეიძლება, როგორც ცა და მიწა, ისეთი განსხვავებაა.

**— კონტრაქტის პირველი ვადა მაისში გამთავრდება. მერე? ხუთწლიანს უნდა მოაწერო ხელი?**

— ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, ალბათ, კონტრაქტს გავაგრძელებ. ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი მაქვს, ბეენჰაკერი რას ფიქრობს, ნამდვილად არ ვიცი. ჯერ ოთხი თვე გავიდეს, მაისში კი ვნახოთ.

*სააახალწლო „ხარბიელში" იყო, ვლადიმერ გუცაევმა რომ გვკითხა, საქართველოდან ფეხბურთელთა მიგრაციას როგორ ვებრძოლოთო. მაშინ ვუპასუხეთ, რატომ უნდა ვებრძოლოთ, პირიქით, ხელი შევუწყოთ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ქართველები ძლიერ კლუბებში გადავლენო. დემეზეც ამას ვიტყვით, რა გვაქვს ხაწინაღმდეგო, „ფეიენოორდის" დარ გუნდებში სხვებიც წავიდნენ. იქნებ მაშინ მაინც გვეშველოს... ალბათ, დაგვეთანხმებით.*

**კობა ინასარიძე**

# მიდიან, მიდიან და...

ეროვნულ ჩემპიონატში შესვენება კია, მაგრამ ჩვენი გუნდების ხელმძღვანელები გაქანებულ ვაჭრობაში არიან ჩაბმულნი. ზოგი ფეხბურთელს სარფიანად ყიდის, ზოგიც — ყიდულობს. არიან ისეთებიც, რომლებიც მოთამაშეებს ხელსაყრელი პირობებით გაასხვისებენ. ბევრი კი ფეხბურთელისგან ხეირს ვერ ნახულობს და იძულებულია, უსიტყვოდ გაათავისუფლოს გუნდიდან. ასე იმიტომ ხდება, რომ სატრანსფერო თუ საკონტრაქტო პირობები ჩვენში ჯერ კიდევ დასახვეწია.

მიუხედავად ამისა, გუნდებში მაინც მოძრაობაა. გაშვებულთა ნაცვლად ახლებს იმატებენ. ასე რომ, ბევრი პირველჯგუფელი მეორე წრეში სახეშეცვლილი მოგვევლინება. ამათ შორის ერთერთი „მერანია". თბილისური კლუბი სამეორეწრეო სამზადისს 10 იანვარს შეუდგა. ავჭალის სტადიონზე ფეხბურთელთა მოზღვავება იგრძნობა და ჯონი ჯანელიძეს საჭირო მოთამაშეების შესაგულებლად გვარიანი შრომისა და ენერგიის დახარჯვა მოუწევს. ამასობაში სხვებივით „მერანიც" იცლება. კახა სიდამონიძე, დემურ კაკუბავა და დათო გოდერძიშვილი გუნდიდან წავიდნენ. მათ კარიერის გაგრძელება უცხოეთში მოსურვებიათ, კლუბის ხელმძღვანელობას კი გუნდიდან გათავისუფლების ფურცელი დაურიგებია — მათ შორის ასეთი შეთანხმება ყოფილა. მერანელთა მეკარე ვეფხია გვენცაძეს კონტრაქტი დაუმთავრდა და ახალ კლუბს ეძებსო. კლუბის თავკაცებს მისი დატოვება განუზრახავთ, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც ვეფხიაზეა. რაც შეეხებათ ახალწვეულებს, კლუბს ჯერ არავინ შეუმატებია, მხოლოდ აკვირდებიან.

ასეა, საქართველოდან ყველა გარბის, ყველას უცხოეთში სურს თამაში, მაგრამ უმრავლესობა უკან ბრუნდება. მერე იწყება წუწუნი, მენეჯერმა საქმე ვერ გაჩარხა, პირობებმა არ დამაკმაყოფილა, მომატყუესო... ამ სირბილში კი სეზონიც მთავრდება. ალბათ, ისევ ჯობს, ჩვენებურები აქ მოემზადონ, მესამე-მეოთხე ლიგებში გარჯას სამშობლოში, თუნდაც ცუდ პირობებში თამაში არ ურჩევნიათ? უცხოელი მწვრთნელები ჩვენებურებს არც ისე აფუფუნებენ. ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობით ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა მაინც არ მოაკლდებათ.

# მაინც ვერ შეელივნენ

გასულ შემოდგომაზე სოჭის „ჟემჩუჟინადან" მშობლიურ „ტორპედოში" დათო ჯანაშიას გადმოსაყვანად ქუთაისური კლუბის მესვეურებმა, მათივე განცხადებით, ბევრი დრო, ენერგია და საკმაოდ დიდი ფულიც დახარჯეს. მათი ჩანაფიქრით, სწრაფ და ტექნიკურ ფორვარდს გუნდის თავდასხმა უნდა გაეძლიერებინა. ჯანაშიამ ჩემპიონატის ოთხ და ორ სათასო მატჩში მიიღო მონაწილეობა, სამი ბურთი შეაგდო და... მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. გორში „დილასთან" თასის მერვედფინალურ შეხვედრაში „ტორპედოს" მარცხის შემდეგ ჯანაშიას გუნდში აღარ უთამაშია. ერთი ვერსიით, იგი ქუთაისელთა მაშინდელი მთავარი მწვრთნელის, სერგო კუტივაძის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, მეორეთი კი მოთამაშე თურმე ზედმეტად პრეტენზიული გახლდათ და ამიტომაც მოხვდა სატრანსფეროებში. ასე იყო თუ ისე, ჯანო, ორ თვეზე მეტია, აღარც გაკარებია „ტორპედოს", თუმცა, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფიც სისტემატურად ვარჯიშობდა ინდივიდუალურად, ცხადია, იმ იმედით, რომ რომელიმე სხვა კლუბში მოუწევდა თამაში.

თუმცა, ეტყობა, ფეხბურთელს ახალი გუნდის ძებნა აღარ დასჭირდება. საქმე ის არის, რომ „ტორპედოს" ხელმძღვანელობას მისი გაშვება გადაუფიქრებია. ეს ამბავი გუშინწინ გაცხადდა კლუბის დამფუძნებელ ორგანიზაციათა წარმომადგენლების შეხვედრაზე. ითქვა, რომ „ტორპედოში" ჯანაშიას მორიგი დაბრუნების საკითხი ფეხბურთელთან ახსნა-განმარტებითი მუშაობის შემდეგ გადაწყდა. ჯანაშიას „ცოდვები" მოუნანიებია, თავის მხრივ, კლუბს თავის ვალდებულებად მიუჩნევია, მას დანაპირები შეუსრულოს.

**იუზა ქაციტაძე**



ტომისლავ ივიჩი

# ხორვატი ირანში

ხორვატი მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი თანახმაა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებამდე უხელმძღვანელოს ირანის ეროვნულ გუნდს. ეს ცნობა ხორვატულმა გაზეთებმა გაავრცელეს.

ორშაბათის „ვეჩერნის" მოჰყავს 63 წლის ივიჩის სიტყვები: — ჯერ ხელი არაფერზე მომიწერია, მაგრამ ზეპირად ყველაფერზე მოვრიგდით. მე ირანის ნაკრებს ექვსი თვის განმავლობაში ვუხელმძღვანელებ.

ირანი, მოგეხსენებათ, ბოლო გუნდი იყო მსოფლიოს პირველობის საგზური რომ მოიპოვა. სამისოდ მან პლეი-ოფში ავსტრალიის ნაკრები დატოვა საფრანგეთს მიღმა, მარსელში გამართულ კენჭისყრაზე კი გერმანიის, იუგოსლავიის და აშშ-ის ჯგუფში მოხვდა.

რაც შეეხება ივიჩს, დღეისთვის, ანუ ირანში გამგზავრებამდე სპლიტის „ჰაიდუკის" ვიცე-პრეზიდენტია. „ჰაიდუკი" ის გუნდი გახლავთ, რომელთანაც ერთად ივიჩმა 1970-იან წლებში პირველი საერთაშორისო წარმატებები მოიპოვა. ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ხორვატმა სპეციალისტმა ბევრი გუნდი გამოიცვალა, მათ შორის „ანდერლეხტი", „პორტუ", „აიაქსი", „ატლეტიკო", „პარი სენ ჟერმენი" და „მარსელი". მას სანაკრებო გამოცდილებაც აქვს, ერთხანს საამიროების ეროვნულ გუნდს წვრთნიდა, 1994 წელს კი ცოტა ხნით სამშობლოს მთავარ გუნდს წინამძღვრობდა.

## ფეხბურთის რუკასთან



**ნორვეგიელი** ნახევარმცველი ბენტ სკამელსრუდი, ნორვეგიის ჩემპიონს ტრონდჰეიმის „რუსენბორგს" რომ კაპიტნობდა, გერმანულ „ლევერკუზენში" გადასვლას დათანხმდა. მასში 270 ათას დოლარს გადაიხდიან. „არ მეგონა, 31 წლისას უძლიერეს კლუბში თუ მიმიწვევდნენ" — უთხრა სკამელსრუდმა ნორვეგიულ სააგენტოს NTB-ს. სკამელსრუდს თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში 22 თამაში აქვს ჩატარებული და ალბათ საფრანგეთში მსოფლიოს პირველობაზეც ითამაშებს.

**ინგლისელი** მცველი ტონი ადამსი შობის წინა დღეებში ტრავმის გამო ფეხბურთიდან წასვლაზე საუბრობდა, მაგრამ კვირას გაზეთ „ინდიპენდენტს" განუცხადა, რომ აზრი იცვალა და კარიერის დასრულებას საფრანგეთის მსოფლიოს პირველობის შემდეგ აპირებს. 31 წლის მოთამაშემ მკურნალობის ინტენსიური კურსი სამხრეთ საფრანგეთში გაიარა და ახლა თავს ისევ მხნედ გრძნობს. ადამსი მოგეხსენებათ „არსენალში" თამაშობს, სადაც შესაძლოა უახლოეს შეხვედრაშიც კი მიიღოს მონაწილეობა, თებერვალში კი ინგლისელთა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ჩილესთან ამხანაგურის თამაშს აპირებს. ბოლო ორი სეზონია ადამსს ხან მუხლი, ხან კოჭი და ხანაც ზურგი სტკივა, მაგრამ მას მერე, რაც ლოთობას თავი დაანება, როგორც ჩანს, სხვანაირად ჟინიანი გახდა. „შობის წინ ცუდ ხასიათზე, დეპრესიაში ვიყავი, ვერ ვხტებოდი, ბურთს ფეხს სწორად ვერ ვუხვედრებდი და არ მინდოდა გულშემატკივრებს ისე რა ფეხბურთელად დავრჩენოდი მეხსიერებაშიო — თქვა ადამსმა.

**ნიგერიის** ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ამხანაგური შეხვედრები შეირჩია. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეს-მდივანმა ოსტინ მგბოლუმ განაცხადა, რომ 29 იანვარს გუნდი ჩაერთვება ჰონკონგში დანიშნულ ოთხთა ტურნირში, რომელშიც ჩილე და კორეაც მიიღებენ მონაწილეობას. ნიგერიელები ჰონკონგში ჩასვლას შეჯიბრებამდე ხუთი დღით ადრე აპირებენ, რათა დეკემბერში დანიშნულმა ახალმა მწვრთნელმა, ცნობილმა ბორა მილუტინოვიჩმა თავისი პირველი შეხვედრებისთვის საფუძვლიანად მოამზადოს გუნდი. 22 თებერვალს „სუპერარწივები" იამაიკას ეთამაშებიან, 25 მარტს კი მეზობელ განას. შემდეგ, 22 აპრილი გერმანიასთან თამაშის დღედ აქვთ შეგულებული, 30-ში კი ბელგრადში იუგოსლავიას ესპარინგებიან. მაისის 9-ში განასთან განმეორებით აპირებენ წავარჯიშებას. ნიგერიაში, მოგეხსენებათ, სამხედრო რეჟიმია. ქვეყნის სპორტის მინისტრმა ემეკა ომერუამ აუკრძალა კიდეც ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებს განან მტრებთან თამაში, მაგრამ შემდეგ უკან დაიხია და გაავრცელა განცხადება, სადაც წერია, რომ ნიგერიას სპორტში მტრები არ ჰყავს.

**ზამბიის** ნაკრების კაპიტანი კალუშა ბვალია არჩევანის წინაშეა. ხუთშაბათამდე ის ან შეუერთდება თანამემამულეებს, ან კიდევ ფეხბურთიდან საბოლოოდ მოკვეთენ. ულტიმატუმი ფეხბურთელს ზამბიელთა გერმანული წარმოშობის ახალმა მწვრთნელმა ბურხარდ ციზემ წაუყენა. მწვრთნელს სურს, რომ კალუშა ბურკინა ფასოში, „აფრიკის თასზე" გაყვეს ნაკრებს, მანამდე კი გამბიასა და მალისთან ამხანაგურ შეხვედრებში მიიღოს მონაწილეობა. კალუშა ოთხი წელიწადია მექსიკის გუნდებში თამაშობს.

**ბრაზილიელი** როდრიგო ფაბრი მადრიდის „რეალმა" იყიდა ადა იქვე 1999 წლამდე „ასესხა" „ფლამენგოს", რათა ფეხბურთელს პროფესიული ზრდისთვის მიეცეს დრო. „სამეფო გუნდის" განცხადებით 21 წლის მოთამაშე „ფლამენგოში" უფრო დაიხვეწება და ისე დაუბრუნდება ესპანეთს. როდრიგომ ამ „გასესხებაში" დადებითი მხარეც შენიშნა: „ახლა მე ორ დიდ კლუბთან ვარ დაკავშირებული, რაც მშვენიერ რეკლამად მიმაჩნია, თანაც ოჯახთან ახლოს ვიქნები." ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი მარიო ზაგალო საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანს.

**გერმანული** „არმინია" შეძლაა სოფიის ცსკა-დან მცველი ადალბერტ ზაფიროვი იყიდოს. გერმანელების მწვრთნელმა რედიგერ ლამმა გუშინ განაცხადა, რომ კლუბმა უკვე გაჩარხა საქმე და 29 წლის ზაფიროვი, ბულგარეთის ნაკრებში ორჯერ რომ აქვს ნათამაშევი, მალე მასთან გადავა. საბოლოო ხელმოწერამდე ორიოდ დეტალი ყოფილა დასაზუსტებელი. აღსანიშნავია, რომ ზაფიროვი მეორე ბულგარელია ერთი კვირის განმავლობაში გერმანიის უმაღლეს საფეხბურთო ლიგაში რომ წავიდა სათამაშოდ. ხუთშაბათს „მიუნხენ 1860"-მა სოფიისავე „ლევსკიდან" ხრისტო იოვოვი გადაიბირა. ამასობაში გერმანელმა დიტმარ ჰამანმა მიუნხენის „ბაიერნთან" 2002 წლამდე გააგრძელა თანამშრომლობა. 24 წლის ჰამანზე ამბობდნენ, ესპანეთში, კერძოდ, მადრიდის „რეალში" გადადისო. შეგახსენებთ, რომ ჰამანმა თავისი ქვეყნის ნაკრებში ნოემბერში ითამაშა პირველად. მაშინ, დიუსელდორფში, გერმანიამ სამხრეთ აფრიკას 3:0 მოუგო და პირველი გოლი სწორედ ჰამანმა გაიტანა.

**პორტუგალიური** „ბენფიკა" ესპანურ „დეპორტივოს" თავისი კაპიტნის, ჟოაო პინტუს მიყიდვას დაყაბულდა. გაზეთების ცნობით, ლისაბონის გუნდს ამ გარიგების შედეგად 14 მილიონი დოლარი დარჩება. საქმის გაჩარხვას ერთადერთი რამ, ფეხბურთელის თანხმობა აკლია. აღსანიშნავია, რომ აქამდე „ბენფიკა" ჟოაო პინტუს ყველა მთხოვნელს უარით ისტუმრებდა, მაგრამ ახლა ფინანსური საქმეები ისე აეწეწა, რომ კლუბმა წინააღმდეგობა ველარ გასწია. არადა, 26 წლის ჟოაო პინტუს „ბენფიკამ" სულ ცოტა ხნის წინ გაუფორმა კონტრაქტი კარიერის ბოლომდე. გარდა ზემოხსენებული 14 მილიონისა, „ბენფიკა" და „დეპორტივო" მოთამაშეებსაც გაცვლიან. „დეპორტივოს" პორტუგალიელი გოლკიპერი ნუნუ ესპირინტუ სანტუ სამშობლოში დაბრუნდება, ორი ლისაბონელი კი ესპანეთს გაემგზავრება.

## ინგლისი

# როცა ლიდერები აღარ არიან



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ლიდსი. ჯიმი გოლმა ამოატრიალა

### XXII ტური

### შეფილდი 2:1 ნიუკასლი

**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, ნიუსომი, უოქერი, კარბონე, ჰეიდი (ჰამპრეისი 85), რუდი, ალექსანდერსონი, დი კანიო (ბუთი 89)

**ნიუკასლი:** ჰისლოპი, ბარტონი (ქეცბაია 80), ბერესფორდი, პიკოკი, უოტსონი, ჰამილტონი (რაში 80), ჰიუზი, ლი, ბარნსი, ტომასონი, გილესპი

1:0 დი კანიო (1), 1:1 ტომასონი (20), 2:1 ნიუსომი (51)

„ნიუკასლის" რღვევა ზუსტად ერთი წლის წინ დაიწყო, მაშინ, როცა გენიალურმა ინგლისელმა ფეხბურთელმა, მწვრთნელობისას ჩრდილოინგლისელების ამაღორძინებელმა კევინ კიგანმა კლუბს უგანა. გასული სეზონი „ნიუკასლმა" მეორე ადგილზე კი დაასრულა, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, უფრო კიგანის მწვრთნელობის შემორჩენილი ინერციით მოხდა, ვიდრე დალგლიშის გარჯით. ინგლისურ ფეხბურთში კიგანზე ნაკლები მწვრთნელი დალგლიში ნაღდად არ ყოფილა, პირიქით, წინამორბედზე მეტი ტიტულებიც მოუხვეჭია, მაგრამ, ეტყობა, იგი „ნიუკასლს" ვერ შეეწყო. გუნდი წახდა.

„ჯორდები" დღესდღეისობით ცხრილის შუაგულში არიან, მაგრამ მათი კრიზისი იმდენად მძიმეა, არაა გამორიცხული, „ნიუკასლი" კიდევ უფრო ქვევით, ფსკერისკენ დაეშვას და ეს მოულოდნელი სულაც არ იქნება. „ნიუკასლის" ამჟამინდელი თამაში ფეხბურთს წააგავს. ზედიზედ მეოთხე მარცხი პრემიერლიგაში, ლიგის თასიდან გამოთიშვა სახუმარო არ არის. ამ შედეგებთან კი ასოციაციის თასზე „ევერტონის" სტუმრად ძლევა იქნებ სახსენებლადაც კი არ ღირდეს. ევროთასებზე გასვლა „ნიუკასლისთვის" აუხდენელ ოცნებად ჩანს, თუმცა, დალგლიშის შავ-თეთრ გუნდს კიდევ აქვს შანსი, თანაც საკმაოდ რეალური, რომ მომავალ სეზონში ევროტურნირებში მიიღოს მონაწილეობა. საუბარია ასოციაციის თასზე, რომლის მოგების შემთხვევაში ხსნილია გზა თასების თასის გათამაშებისკენ. „ნიუკასლი" კი ჯერჯერობით ამ თასს შემორჩენია, თანაც მათ შემდგომ მეტოქეს, პროვინციულ „სტივენეიჯს" თუ გავითვალისწინებთ, ადვილი შესაძლებელია, დალგლიშმა და მისმა ამქარმა თასისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას.

მანამდე გუნდს ჩემპიონატი აქვს მოსახედი. უშედეგობა და საშინელი, ამაზრზენი თამაში ნელ-ნელა „ნიუკასლის" სავიზიტო ბარათი ხდება, ეს კი საეჭვოა, რომელიმე გუნდს ახარებდეს. სეზონის დასაწყისში ერთხმად გავარდნილად მიჩნეულ „შეფილდ უენსდითანაც" ასე იყო. შეფილდელები კარგა ხანს არასაფეხბურთო ანგარიშებით მარცხდებოდნენ, ცხრილის ბოლო საფეხურიც დააჭაშნიკეს, მაგრამ ახალმა მწვრთნელმა რონ ატკინსონმა გუნდი კრიზისიდან გამოიყვანა. თვით იმ დღეებშიც კი, როცა „შეფილდი" 2:7, 0:5 და ამდაგვარი ანგარიშებით მარცხდებოდა, გუნდი ისე უნიათოდ არ თამაშობდა, როგორც თითქმის მთელ სეზონში „ნიუკასლი".

აგვისტოში ნიუკასლელებს შირერი დააკლდათ. ეს კაცი კი რას ნიშნავდა გუნდისთვის, განვლილმა პერიოდმაც დაადასტურა. ინგლისის უპირველესი ბომბარდირის არყოფნამ კლუბზეც და ფეხბურთელებზეც გამანადგურებლად იმოქმედა. შირერის კარგა ხნით მწყობრიდან გამოსვლამ „ნიუკასლის" მებრძოლი სულიც გაიყოლა. ამ სეზონში გუნდმა როცა კი გოლი გაუშვა, თითქმის ყოველთვის წააგო მატჩი. ეტყობა, მათზეც ძალიან მოქმედებს ქართველებისთვის მარცხის მიზეზის ამხსნელი ეგრეთწოდებული „პირველი გოლის ფაქტორი".

ახლაც დი კანიოსგან პირველსავე წუთზე გაშვებული გოლის შემდეგ ისედაც დაბზარული გუნდი სულ აირ-დაირია. მართალია, გაყაიმება მოახერხეს, მაგრამ ეს პრესმენის შეცდომების ბრალი უფრო იყო, ვიდრე ტომასონის ოსტატობის. საბოლოო ჯამში ძლიერმა დამსახურებულად იმარჯვა - ჰამილტონმა მორიგი შეცდომა დაუშვა, შეფილდელებმა კი წინა მომენტებისგან განსხვავებით, უყურადღებობა არ აპატიეს და ნიუსომმა მარჯვედ დაჰკრა.

— ჩვენ ახლა ძლიერ გვიჭირს, გუნდი დასნეულდა.. ავადმყოფი კი, თუ არ მიხედე, შესაძლებელია, გარდაიცვალოს კიდეც. „ნიუკასლის" შემთხვევაში ასე არ მოხდება. მართალია, ძლიერ კრიზისში ვართ, მაგრამ იმედია, ყველაფერი გამოსწორდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამისთვის ვიღწვით. წინ უამრავი შეხვედრა გველის, რომელთაც ჩვენი შერყეული პრესტიჟის აღსადგენად გამოვიყენებთ — განაცხადა კენი დალგლიშმა, რომელსაც თუ ინგლისის ბულვარულ პრესას ვენდობით, წყალი შესდგომია.

### არსენალი 2:1 ლიდსი

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ვიეირა, ბოულდი, კეონი, პარლოუ, პეტი, რაიტი, ოვერმარსი, ბერხკამპი

**ლიდსი:** მარტინი, კელი, ჰაალანდი (მოლენაარი 21), რადებე, უეზეროლი, უოლესი (ლილი 88), რიბეირო, ბოუერი (ჯიმი 53), მეიბერი, კიუელი, ჰალე

1:0 ოვერმარსი (60), 1:1 ჯიმი (69), 2:1 ოვერმარსი (72)

— მე რომ მკითხოთ, ოვერმარსი ბრწყინვალე ფეხბურთელია, სწორედ ისეთი, თანამედროვე ფეხბურთს რომ სჭირდება. მისი იმედი მუდმივად მქონდა. როცა ოვერმარსი მინდორზეა, რაც არ უნდა წამყვანი მოთამაშე გაკლდეს, მაინც იმედიანად ხარ. მარკს თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს გარემარბად ვთვლი — ეს სიტყვები ლონდონელთა ფრანგმა მწვრთნელმა მატჩის დასასრულს წარმოთქვა, როცა ოვერმარსი უკვე შეხვედრის გმირად იყო ქცეული. გმირობაც, მასთან ერთად ორი გოლი და მოგებული მატჩი შესაძლოა, არც ყოფილიყო ვენგერს ოვერმარსი რომ არ ეთამაშებინა. არადა, ამის მიზეზი ნაღდად იყო — ჰოლანდიელს მაღალი სიცხე ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ოვერმარსმა მაინც ითამაშა, თუ როგორ, ეს ანგარიშიდანაც ჩანს.

მე-2 წუთზე ლიდსელები კინაღამ დაწინაურდნენ — როდ უოლესი რიბეიროს გამჭოლი პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ სიმენმა დაამტკიცა, რომ იგი ტყუილად არ ითვლება №1 ინგლისელ მეკარედ. მალე მან მეორედ იხსნა მასპინძლები, მერე კი „მეთოფეთა" კართან ხიფათი აღარ შექმნილა. საფრთხე უფრო სტუმართა კართან ტრიალებდა. თუ პირველ ნახევარში გოლი არ გავიდა, ეს უდავოდ მეკარეების დამსახურებაა, მაგრამ მატჩის დაწყებიდან საათის პატარა ისარმა ერთი წრე რომ ჩაამთავრა, ოვერმარსმაც იხარა — „აიაქსის" ყოფილი გარემარბი ლიდსელებმა ვერ შეაჩერეს. მართალია, მალე კუნთმაგარმა ჯიმიმ გააყაიმა, მაგრამ იმავე ოვერმარსმა მარტინს კვლავ გაუტანა.

ეს რაც შეეხებოდა გოლებს. მე-20 წუთზე კი „ლიდსის" ნორვეგიელმა მცველმა ალფ-ინგე ჰაალანდმა ფეხის ძვალი გაიტეხა ფრანგ პატრიკ ვიეირასთან ორთაბრძოლისას. 25 წლის ნორვეგიელი ექიმების პირველადი დასკვნით ექვსი თვე ბურთს ველარ გაეკარება. ჰაალანდი ახლა იწყებს მკურნალობას, „არსენალის" დაცვის ბურჯი ტონი ადამსი კი სარეაბილიტაციო პერიოდის დასასრულს უახლოვდება. ინგლისის ყოფილი კაპიტანი საფრანგეთში მკურნალობს, უთამაშებლობის ჟამს კი ფილოსოფიური აზრებიც გამოუთქვამს — ალკოჰოლური სასმელი თურმე ჯანმრთელობისთვის მავნებელი ყოფილა. ადამსს, რომლის ლოთობაც მთელ დუნიაზეა ცნობილი, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კარიერის დასრულება გადაუწყვეტია — კაცი დღეში 14 კათხა ლუდს რომ დალევს, მერე ფეხბურთს როგორ ითამაშებო.

### დერბი 3:1 ბლექბერნი

**დერბი:** პოომი, როუეტი, პაუელი, იატსი, შტიმაცი, სტარიჯი (ბარტონი 89), ლაურსენი, ელიოტი (ვილემსი 46), ჰანტი, ბაიანო, ვენჩოპი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, რიპლი, ფლიტკროფტი, კროფტი (უილკოქსი 61), ენჩოსი, დაფი, სატონი, გალაჰერი

1:0, 2:0 სტარიჯი, 2:1 სატონი (87), 3:1 ვენჩოპი (88)

მართალია, მარტ პოომი ცოტა არ იყოს არასაფეხბურთო ქვეყნიდან, ესტონეთიდანაა, მაგრამ მისი დარი მეკარე პრემიერლიგაში ცოტა მოიძებნება. ბლექბერნელებთან მოგება სწორედ ახალგაზრდა ბალტიისპირელის დამსახურებაა, რომელმაც მინიმუმ ხუთჯერ იხსნა თავისიანები. დამარცხებულებზე კი ჰოჯსონის სიტყვები ზედგამოჭრილია — თუ ბედმა ზურგი გაქცია, რაც არ უნდა ძლიერი იყო, მეტოქეზე გამარჯვებას მაინც ვერ ეღირსებიო.

### მანჩესტერი 2:0 ტოტენჰემი

**მანჩესტერი:** შმაიხელი, ფ. ნევილი, ირვინი, იონსენი, პალისტერი, სკოულზი, ბექემი, გიგზი, სოლსკიაერი, კოული, შერინგემი

**ტოტენჰემი:** ბაარდსენი, კალდერვუდი, ფოქსი (ბრეიდი 77), კარი, ვეგა, უილსონი, დომინგუში, კემპბელი, კლემენსი (სინტონი 54), ბერტი, კლინსმანი

1:0, 2:0 გიგზი (44, 67)

წინ ჩემპიონობისკენ! — სწორედ ესაა მანჩესტერელთა მიზანი ამ სეზონში, რომელსაც, ალბათ, კიდეც მიაღწევენ, რადგან ალექს ფერგიუსონის უძლეველი გუნდის შემჩერებელი ინგლისში არ ჩანს. „ტოტენჰემთან" მოგება მოსალოდნელი იყო. ლონდონელებს, რომელთა შორისაც პირველად ითამაშა იტალიელმა ნიკოლა ბერტიმ, ორი კაცი — დევიდ ბექემი და რაიან გიგზი ეყოთ. „ოლდ ტრეფორდზე" გაცილებით დიდი ანგარიში დაფიქსირდებოდა, „ტოტენჰემის" კარში 20 წლის ნორვეგიელი ბაარდსენი რომ არ მდგარიყო. სხვათა შორის, მამით ნორვეგიელი და დედით ამერიკელ მეკარეს ნორვეგიის ახალგაზრდულსა და ამერიკის ჭაბუკთა ნაკრებში უთამაშია.

### ჩელსი 3:1 ქოვენთრი

**ჩელსი:** დე გოი, ლებეფი, კლარკი, ლემბორდი, დაბერი, ლე სო, გრენვილი (ნიკოლსი 46), დი მატეო, ძოლა (გულიტი 60), უაიზი, მ. ჰიუზი

**ქოვენთრი:** ჰედმანი, შოუ, ბაროუზი, უილიამსი, ბრინი, ჰაკერბი, ვილანი, ტელფერი, სალაკო (მოლდოვანი 58), ბოულენდი, დაბლინი

0:1 ტელფერი (30), 1:1, 2:1 ნიკოლსი (65, 70), 3:1 დი მატეო (78)

თასზე „მანჩესტერ იუნაიტედთან" განადგურების შემდეგ „ჩელსიმ" გონზე მოსვლა შეძლო და ლიდერთა დამარცხების იმტაზე მოსულ „ქოვენთრის" წააგებინა. მოგება გულიტის ჭკვიანურმა გადაწყვეტილებამ მოიტანა, როცა ჰოლანდიელმა უჯიგრო გრენვილის ნაცვლად ნიკოლსი შეუშვა. მოგვიანებით ლიპდადებული გულიტი თვითონაც შეიჭრა მინდორზე, თუმცა თანაგუნდელთა შემახილებით აკლების მეტი არა გაუკეთებია რა. სხვათა შორის, ტოტენჰემელი ნიკოლა ბერტის დარად პრემიერლიგაში პირველად ითამაშა „გრასჰოპერში" მიშა ყაველაშვილის და გიორგი ნემსაძის ყოფილმა თანაკლუბელმა, რუმინელმა ვიორელ მოლდოვანმა.

### ლივერპული 2:0 უიმბლდონი

**ლივერპული:** ჯეიმსი, მაკატირი, ბები, ლეონარდსენი (ბერგერი 71), ჰარკნესი, მატეო, ინსი, მაკმანამანი, ოუენი, ფაულერი, რედნაპი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნსი, ბლეკველი, ერლი, გეილი (კლარკი 74), პერი, ჰიუზი, ერდლი, კორტი (ლებერნი 56)

1:0, 2:0 რედნეპი (71, 84)

— გამარჯვება ჩვენი თამაშის ლოგიკური დასასრული იყო. წესით და რიგით ასეც უნდა მომხდარიყო. დღევანდელი „ლივერპული" თუნდაც ერთი თვის წინანდელი გუნდისგან ძლიერ განსხვავდება. ახლა აშკარად ძლიერები ვართ. სხვა თუ არაფერი, პრემიერლიგაში ზედიზედ ხუთი შეხვედრის მოგებასაც შნო უნდა — განაცხადა „წითლების" გახარებულმა თავკაცმა როი ევანსმა, რომლის გუნდმაც „უიმბლდონს" მათ შორის გამართულ ბოლო 15 შეხვედრაში მხოლოდ მეორედ წააგებინა.

### კრ. პალასი 1:3 ევერტონი

**კრ. პალასი:** მილერი, ედვორთი, გორდონი, რობერტსი, ლინიგენი, დაიერი, როჯერი (ბენტი 62), პრიდარსონი, ემბლინი (ბოქსოლი 46), ფალერტონი, ბროლინი

**ევერტონი:** მერი, შორტი, ტომასი, გრანტი (ფარელი 71), ტილერი, ბოლი, ბილიჩი, სპიდი, ბარმბი, ფერგიუსონი, მადარი (კადამარტერი 75, ტომსენი 84)

0:1 ბარმბი (3), 0:2 ფერგიუსონი (12), 1:2 დაიერი (173), 1:3 მადარი (34)

მასპინძლებმა ახალწვეულები — მარკუს ბენტი და ტომას ბროლინი კი ათამაშეს, მაგრამ ვერც ამათ იხსნეს „კრისტიალ პალასი" მარცხისგან. „კრისტალ პალასმა" ვერ იქნა და შინ მეტოქე ვერ დაამარცხა, ახლა კი ისეთ გუნდთან წააგო, ბოლო 13 თვის მანძილზე გასვლაზე ერთხელ რომ მოუგია.

### ასტონ ვილა 1:1 ლესტერი

**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, ნელსონი (იოაკიმი 63), სტონტონი, რაიტი, ეჰიოგუ, შიმეცა, ტეილორი, დრაპერი, გრეისონი, მილოშევიჩი, კოლიმორი

**ლესტერი:** კელერი, სევიჯი, ჯაპი, კამარკი, უოლში, იზეტი, ლენონი, ელიოტი, მარშალი (კოტი 73), პარკერი, ჰესკი

0:1 პარკერი (53პ), 1:1 იოაკიმი (87)

მთელი შეხვედრის განმავლობაში ბირმინგემელები უტევდნენ, მაგრამ სანამ იოაკიმს არ გაუმართლა, სამი ქულა შინ „ლესტერს" მიჰქონდა. მანამდე ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სტუმართა კარს მეკარის გარდა რაღაც უხილავი ძალა იცავდა.

### ვესტ ჰემი 6:0 ბარნსლი

**ვესტ ჰემი:** ფორესტი, ანსუორსი, პირსი, ფერდინანდი, ლაზარიდისი, იმპი (მონკური 31), ლემპარდი, ბერკოვიჩი (ალვეში 77), ჰოტსი, ჰარტსონი, აბუ

**ბარნსლი:** უოტსონი, იდენი, ეპლიბი (მარკშტედი 31), შერიდანი, სინკლერი, ხრისტოვი (ჰენდრი 73), კრიჟანი (მარსელი 31), ბერნარდი, უორდი, მორგანი, რედფერნი

1:0 ლემპარდი (5), 2:0, 3:0 აბუ (31, 52), 4:0 მონკური (57), 5:0 ჰარტსონი (67), 6:0 ლაზარიდისი (90)

ისმის კითხვა — რისთვის გადავიდა „ბარნსლი" პრემიერლიგაში? პასუხი მარტივია — ჩემპიონატის შედეგიანობის გასაზრდელად.

### ბოლტონი 0:0 საუთჰემპტონი

**ბოლტონი:** ბრენეგენი, კოქსი, ფრანდსენი, პოლოკი (კარი 72), სელარსი (გუნლაუგსონი 72), ტომპსონი, ბერგსონი, ტოდი, ფილიპსი, ტეილორი, ბლეიკი

**საუთჰემპტონი:** ჯოუნსი, დოდი, მონკუ, დრაიდენი, ბენალი, ოუკლი, რიჩარდსონი, პალმერი, დევისი, ჰერსტი (სლეიტერი 46), ოსტენსტადი (უილიამსი 77)

ბოლტონის ახალი სტადიონი „რიბოკი" შედეგიანობით ნაღდად ვერ დაიკვეხნის — აქ გამართულ 11 მატჩში მხოლოდ 9 გოლი გავიდა. ამჯერადაც ასე მოხდა — ტაბლოს თითქოს მიეყინაო, 0:0 ისე შერჩა. აღსანიშნავი მხოლოდ ისაა, რომ სტუმარი ბენალი 30-ე წუთზე გააძევეს. ეს წითელი ბარათი კი მისთვის კარიერაში საიუბილეო, მეათე აღმოჩნდა.

**ლაშა გოდუაძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჯონ ჰარტსონი (ვესტ ჰემი) | 12 |
| კრის სატონი (ბლექბერნი) | 12 |
| ენდი კოული (მანჩესტერი) | 12 |
| ფრანჩესკო ბაიანო (დერბი) | 11 |
| იან რაიტი (არსენალი) | 10 |
| დენის ბერხკამპი (არსენალი) | 10 |
| კევინ გალაჰერი (ბლექბერნი) | 10 |

### პირველი დივიზიონი

### პორტსმუთი 0:3 სიტი

**სიტი:** რაიტი, ბრაიტველი, შელია, ბრაუნი, საიმონსი, ედჯილი, უაიტლი, რასელი, დოკოვი, ქინქლაძე, როსლერი

0:1 რასელი (44), 0:2 ქინქლაძე (51), 0:3 როსლერი (89)

კარგა ხანია, გასვლით მატჩებში „სიტის" ასე არავინ გაუნადგურებია. მანჩესტერელებს, ალბათ, საშობაო არდადეგებიდან თავიანთი პრეზიდენტის ფრენსის ლის დაბრუნება გაუხარდათ და „პორტსმუთი" მიწასთან გაასწორეს. პირველ ნახევარში თამაში თანაბარი იყო, მაგრამ მეორეში „სიტის" უპირატესობა გამოიკვეთა და აშკარა გახდა, მანჩესტერელები დიდი ანგარიშით მოიგებდნენ. ქართველები მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად შერაცხეს. ქინქლაძემ, გარდა იმისა რომ შეაგდო, პირველ და მესამე გოლებშიც წვლილი შეიტანა.

გულშემატკივრის მოთმინებასაც აქვს საზღვარი. ეს ის ხალხია, საყვარელი გუნდის ქომაგობა რომ ძალუძთ, რა გინდა რა ამინდში, პირობებსა თუ სიტუაციაში. გულშემატკივრები ის ხალხია, ურომლისოდაც გუნდი გუნდი არაა, მათთვის ფეხბურთი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ერთი სიტყვით, გულშემატკივრები რომ არა, ფეხბურთს ეშხი და ლაზათი მოაკლდებოდა.

## გაცეცხლდნენ

ხდება ხოლმე გუნდი მატჩს აგებს, მაგრამ თამაშით მოხიბლული ქომაგი დამარცხებულებს მხურვალე ოვაციით გულს უკეთებს, მაგრამ ისეც მომხდარა, რომ საყვარელი გუნდის მარცხით გაგულისებულ გულშემატკივარს გაუგონარი რა ჩაუდენია, მინდორზე შეჭრილა და შეხვედრა ჩაუშლია. ინგლისში ასეთი რამ იშვიათია, მაგრამ ის, რაც ნისლიანი ალბიონის პირველი დივიზიონის პირველობის ბოლო ტურის ერთ-ერთ მატჩში ქალაქ სტოკში მოხდა, არავის გაკვირვებია. „ბირმინგემ სიტისთან" ადგილობრივი „სტოკ სიტი" შინ 0:7(!) დამარცხდა, ასეთი საშინელი წაგება კი კლუბის ხანგრძლივ 135 წლიან ისტორიას არ ახსოვს.

შუა თამაშში, როცა ჯერ კიდევ 0:5 იყო, გაცხარებული გულშემატკივრები მინდორზე შეჭრნენ და მატჩის ჩაშლა სცადეს, თუმცა, მასპინძელთა თავკაცებმა ივაჟკაცეს და უწესრიგობა დროზე შეაჩერეს. მოგვიანებით, როცა საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა, რამდენიმე ათეულმა ფანმა, მათ შორის ქალებმა და ბავშვებმა კლუბის ოფისში მოიყარა თავი და თავმჯდომარის, პიტერ კოატსის გადაყენება მოითხოვა. აბობოქრებული ბრბო მოგვიანებით კი დაიშალა, მაგრამ რამდენიმესაათიანმა მიტინგისმაგვარმა პროტესტმა შედეგი მაინც გამოიღო — გუნდის თავკაცობა მდგომარეობის გამოსასწორებლად შეიკრიბა, მენეჯერმა ბეიტსმა კი გულშემატკივრებს პატიება სთხოვა — ის, რაც მოხდა, აღარ განმეორდებაო.

იგივე განმეორდება თუ არა, არავინ იცის, ფაქტი ერთია: გუნდმა თავისი უნიათო და უჯიგრო თამაშით ათასობით ადამიანს დაწყვიტა გული.

## საბერძნეთი

მე-17 ტური. კალამატა — ოფი 1:0; პანახაიკი — კავალა 2:0; პაოკი — ათინაიკოსი 1:0; პანილიაკოსი — პანათინაიკოსი 0:0; აპოლონი — ირაკლისი 0:0; პრუდეფტიკი — ეთნიკოსი 2:3; პანიონისი — იონიკოსი 2:2; ოლიმპიაკოსი — ვერია 4:1; ქსანტი — აეკი წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 17 | 14 | 1 | 2 | 45:14 | 43 |
| აეკი | 16 | 14 | 1 | 1 | 35:14 | 43 |
| პანათინაიკოსი | 17 | 13 | 1 | 3 | 38:11 | 40 |
| პაოკი | 17 | 11 | 4 | 2 | 33:16 | 37 |
| იონიკოსი | 17 | 10 | 3 | 4 | 29:17 | 33 |
| ირაკლისი | 17 | 8 | 4 | 5 | 20:18 | 28 |
| აპოლონი | 17 | 7 | 3 | 7 | 18:19 | 24 |
| ოფი | 17 | 7 | 3 | 7 | 23:30 | 24 |
| ქსანტი | 16 | 7 | 2 | 7 | 31:31 | 23 |
| პანიონისი | 17 | 6 | 2 | 9 | 21:23 | 20 |
| პანილიაკოსი | 17 | 5 | 5 | 7 | 23:27 | 20 |
| პანახაიკი | 17 | 6 | 1 | 10 | 17:29 | 19 |
| ეთნიკოსი | 17 | 5 | 1 | 11 | 10:22 | 16 |
| პრუდეფტიკი | 17 | 4 | 4 | 9 | 17:32 | 16 |
| ვერია | 17 | 4 | 2 | 11 | 20:32 | 14 |
| ათინაიკოსი | 17 | 3 | 3 | 11 | 13:26 | 12 |
| კალამატა | 17 | 3 | 3 | 11 | 9:24 | 12 |
| კავალა | 17 | 2 | 3 | 12 | 20:37 | 9 |

## ესპანეთი

### მეორე დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტრემადურა | 22 | 11 | 7 | 4 | 30:19 | 40 |
| ალავესი | 22 | 11 | 6 | 5 | 28:14 | 39 |
| ლეიდა | 22 | 10 | 7 | 5 | 29:21 | 37 |
| ლას პალმასი | 22 | 8 | 12 | 2 | 40:27 | 36 |
| რაიო | 22 | 9 | 8 | 5 | 29:18 | 35 |
| ეიბარი | 22 | 9 | 8 | 5 | 24:14 | 35 |
| ატლეტიკო | 22 | 9 | 8 | 5 | 31:23 | 35 |
| ვილიარეალი | 22 | 8 | 10 | 4 | 23:24 | 34 |
| ოსასუნა | 21 | 9 | 5 | 7 | 20:15 | 32 |
| ორენსე | 22 | 8 | 8 | 6 | 22:20 | 32 |
| ლეგანესი | 22 | 8 | 8 | 6 | 20:22 | 32 |
| ერკულესი | 22 | 8 | 6 | 8 | 26:26 | 30 |
| ალბასეტე | 22 | 7 | 8 | 7 | 25:27 | 29 |
| სევილია | 22 | 7 | 7 | 8 | 25:25 | 28 |
| ბადახოსი | 21 | 5 | 10 | 6 | 20:18 | 25 |
| ელჩე | 22 | 6 | 6 | 10 | 28:32 | 24 |
| ნუმანსია | 22 | 5 | 8 | 9 | 14:29 | 23 |
| ტოლედო | 22 | 4 | 10 | 8 | 19:28 | 22 |
| სერესი | 22 | 3 | 9 | 10 | 13:23 | 18 |
| ხაენი | 22 | 3 | 9 | 10 | 19:32 | [illegible] |
| ლოგრონიესი | 22 | 2 | 10 | 10 | 13:24 | [illegible] |
| ლევანტე | 22 | 3 | 6 | 13 | 17:34 | [illegible] |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

### XV ტური

### მილანი 0:0 რომა

მილანი: ტაიბი, კარდონე, დესაი, მალდინი, ციგე, ბა, ალბერტინი, ბობანი, ლეონარდო (მაინი 78), განცი (ა. ანდერსონი 63), კლუვერტი

რომა: კონსელი, კაფუ, პეტრუცი, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო (თეთრაძე 91), პაულო სერჯიო, ტოტი, ბალბო (დელვეკიო 60)

გაფრთხილება: ალბერტინი, ალდაირი, დი ბიაჯო, პაულო სერჯიო

### ლაციო 4:0 ლეჩე

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, ნეგრო, შამოტი, ფუზერი (გოტარდი 78), ალმეიდა, იუგოვიჩი, რამბაუდი (ვენტურინი 67), მანჩინი (მარკოლინი 86), ბოკშიჩი

ლეჩე: ლორიერი, საკიჩი, კიპრიენი, ვიალი, როსინი, როსი (მარტინესი 70), გოვედარიცა, კონტიკიო, კასალე (დიკიო 85), ატიელკინი (დე ფრანჩესკო 46), პალმიერი

1:0 რამბაუდი (55), 2:0 ფუზერი (74), 3:0, 4:0 ბოკშიჩი (83, 92)

გაფრთხილება: პალმიერი

### ბრეშია 1:3 ფიორენტინა

ბრეშია: ჩერვონე, სავინო, ადანი, ბია, კოზმინსკი (ბაროლო 81), ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, ბანინი (პირლო 68), დიანა, უბნერი, ნერი (ბონაცოლი 81)

ფიორენტინა: ტოლდო, ტაროცი, ფირიკანი, ფალკონე, სერენა, კოისი, რუი კოშტა (ბიჯიკა 91), შვარცი, მორფეო (მირი 78), ბატისტუტა, ოლივეირა

0:1 მორფეო (48), 1:1 უბნერი (54გ), 1:2 ბატისტუტა (61), 1:3 რუი კოშტა (80)

გაფრთხილება: ტაროცი, სერენა

# სამახსოვრო, უსახური შეხვედრა

### იუვენტუსი 2:0 ვიჩენცა

იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, ფერარა, მონტერო, დიმაში, დი ლივიო (პესოტო 77), ზიდანი, კონტე (პეკია 77), დევიდსი, ინძაგი, დელ პიერო

ვიჩენცა: ბრივიო, სტოვინი, კანალსი, დიჩარა, კოკო, სკენარდი, ბარონიო (ფირმანი 68), მასპერო (ამბროზეტი 68), ამბროზინი, ძაული, ლუიზო

1:0 დელ პიერო (27პ), 2:0 ფერარა (76)

გაფრთხილება: ფერარა, ზიდანი, ბრივიო, კანალსი, ძაული

### სამპდორია 5:2 პარმა

სამპდორია: ფერონი, ვერგასოლა (კასტელინი 84), მანინი, მიხაილოვიჩი, ჰუგო, ლაილე, ვერონი (სკარკილი 74), ბოლოსიანი (ლამონიკა 90), ფრანჩესკეტი, მონტელა, სინიორი

პარმა: ბუფონი (ნისტა 48), მუსი, ტურამი, კანავარო, ბენარივო, სტანიჩი (კრესპო 46), სენსინი, დ. ბაჯო (ჯუნტი 46), ბლომკვისტი, კიეზა, მანიერო

1:0 მონტელა (8), 2:0 სინიორი (25), 3:0, 4:0 ვერგასოლა (33, 50), 4:1, 4:2 მანიერო (53, 57), 5:2 სინიორი (83)

გაფრთხილება: მანინი, ლაილე, ბოლოსიანი, კანავარო, ბენარივო, სენსინი

### ემპოლი 0:0 ბოლონია

ემპოლი: როკატი, ფუსკო, ბალდინი, ბიანკონი, ამეტრანო (კაპელინი 60), პანე, ფიკინი, ბიზოლი, ტონეტო, ფლორიანჩიჩი, ესპოზიტო

ბოლონია: სტერკელე, პარამატი, ტორიზი, მანგონე, ნერვო, კრისტალინი, მაროკი, მაგონი, კოლივანოვი (ფონტოლანი 63), კ. ანდერსონი, რ. ბაჯო

გაფრთხილება: ფიკინი, ფლორიანჩიჩი, ტორიზი, კ. ანდერსონი

### უდინეზე 1:1 ნაპოლი

უდინეზე: ტურჩი, გარგო, კალორი (ჟენო 85), პიერინი, ბაკინი, ჯანიკედა, ვალემი (სტატუტო 60), კაპილი (იორგენსენი 60), პოჯი, ბირჰოფი, ლოკატელი

ნაპოლი: ტალიალატელა, კრასონი, აიალა, გორეტი, სერჯო, როსიტო, ასანოვიჩი (ლონგო 71), ალეგრი (ალტომარე 64), ტურინი, პროტი (ძამბონი 83), ბელუჩი

0:1 ბელუჩი (26), 1:1 ლოკატელი (91)

გაფრთხილება: კრასონი, გორეტი, სერჯო, როსიტო, ალეგრი

გაძევება: ტურინი (78)

### პიაჩენცა 0:1 ინტერი

პიაჩენცა: სერენი, საკეტი, ვერხოვოდი, მაცოლა, ტრამეცანი (ვალტოლინა 81), პიოვანი (რასტელი 58), ბორდინი (მურჯიტა 73), შიენძა, ვალოტი, დიონიჯი, სტროპა

ინტერი: პალიუკა, კოლონეზე, ბერგომი, გალანტე, ვესტი, მორიერო, ზე ელიასი, სიმეონე (ბრანკა 67), ძანეტი, რონალდო, ჯორკაეფი

0:1 მორიერო (69)

გაფრთხილება: ვერხოვოდი, პიოვანი, რასტელი, სტროპა, გალანტე, მორიერო, სიმეონე

გაძევება: მაცოლა (89)

### ბარი 0:0 ატალანტა

ბარი: მანჩინი, სალა, ნექროიზი, დე როსა, მანიგეტი (მარკოლინი 79), ბრეშანი (დოლი 60), ინგესონი, ვოლპი, დე ასკენტისი, გუერერო, მასინგა

ატალანტა: ფონტანა, ბონაჩინა, დუნდიერსკი, კარერა, სოტილი, მირკოვიჩი, კარბონე (ძენონი 58), სგრო (ლუკარელი 68), პიაჩენტინი, გალო, კაჩა

გაფრთხილება: მანიგეტი, დუნდიერსკი

ანგარიშები, ქულები, ბურთების სხვაობა, პასები, გოლები... ფეხბურთი ვისთვის უსაქმური კაცების აზრსმოკლებული სირბილია, ვისთვის ჟინი და აზარტი, ვისთვის გართობა, ვისთვის კი ცხოვრების მოდელი, ფილოსოფია. ფეხბურთში ერთადაა თავმოყრილი ჯანის სიმრთელე და სისხარტე, ალღო, გონი და ხასიათი. ვილაც ეგოისტია, ვილაც ალტრუისტი, ერთი შეუბრალებელია, მეორე მოწყალე. ზოგისთვის სულერთია ათეულობით ათასი ადამიანი თავს რომ დაჰყვირის, ზოგისთვის კი გადაულახავი ბარიერია. ეს გათავხედდა, ის ზრდილობიან კაცად დარჩა. გამდიდრდა, გალატაკდა, ბოლოსდაბოლოს ცოლმა ვერ გაუგო და კარიერა დაუღუპა ან პირიქით, ცაში აიყვანა.

რობერტო ბაჯოს კვლავ არ დაუკარგავს იმედი, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, არადა დიდი კარიერა აქვს გავლილი. კვირას „ემპოლისა“ და „ბოლონიას“ შეხვედრაში მას საგანგებო მედალი გადასცეს სერია A-ში ჩატარებული მესამე მატჩის აღსანიშნავად. შეეძლო იმავე დღეს 140-ე გოლიც გაეტანა, მაგრამ ვერ შეძლო. 31 წლის გამთამაშებელს ბურთის წასართმევად უფრო მეტი გარჯა დასჭირდა და მეტოქის კართან სულ ერთი-ორი შესაძლებლობა თუ მიეცა.

— დღიურების საწერად დრო რომ მქონოდა, რამდენიმე მნიშვნელოვან ამბავს უეჭველად ჩავინიშნავდი — თქვა ბაჯომ ჩვეული მოკრძალებით.

დღეს 1998 წელია და რობერტო ბაჯო სუსტ „ბოლონიაში“ თამაშობს, მაშინ, 1982 წელს კარიერა „ვიჩენცაში“ დაიწყო, მაგრამ მუხლი დაიშავა და სერია A-ში პირველი მატჩის ჩატარებამდე დაცდა მოუხდა. ეს იყო 1986 წლის 21 სექტემბერს. ბაჯო უკვე „ფიორენტინაში“ გამოდიოდა. იმ დღეს ფლორენციელებმა გენუის „სამპდორიას“ 2:0 მოუგეს.

ფლორენციაში სახელის მოხვეჭას დიდი ნიჭით დაჯილდოვებული ფეხბურთელისთვის ორიოდ კვირა დასჭირდა. პირველი გოლი დიეგო მარადონას „ნაპოლის“ გაუტანა. გაუტანა ლამაზად და დღესაც ამბობს, რომ ის კვირა მის კარიერაში ყველაზე სამახსოვრო იყო. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გამთამაშებელი ტურინის „იუვენტუსში“ გადავიდა და ამით ფლორენციის ქუჩებში მასობრივი არეულობანი გამოიწვია. საქმე ის გახლავთ, რომ „იუვენტუსი“ და „ფიორენტინა“ სამტროდ არიან წაკიდებულნი, რის გამოც რობერტოს ტურინში გადასვლა ფლორენციელებმა ღალატად და ზურგში მახვილის ჩაცემად მიიჩნიეს. დაიწყო სეზონი და ბაჯომ ახალი და ძველი გუნდების შეხვედრაში, „ფიორენტინას“ კარში პენალტის დარტყმაზე უარი განაცხადა. ამან „იუვენტუსის“ ტიფოზთა აღშფოთება და ათასი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კრიტიკოსებმა ამ ეპიზოდს იმსიგრძე კუდები მოაბეს, რომ დასკვნა ასეთი გამოუვიდათ: ბაჯოს მხოლოდ სუსტებთან ეხერხება თამაში. ფეხბურთელმა ბუნებრივი სიმშვიდით მიიღო გამოწვევა და კრიტიკოსებს 78 გოლით, უეფას თასით და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელობით უპასუხა. 1994 წელს რობერტო ბაჯო არიგო საკისეულ ნაკრებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, მაგრამ სწორედ ბაჯომ ააცილა გადამწყვეტი პენალტი, თორემ ახლა მის ტიტულს სიტყვა ვიცე არ ექნებოდა წინ.

აცილებულმა პენალტმა დიდი ფეხბურთელის კარიერა დაღმა დააგორა. მომდევნო სეზონში „იუვე“ იტალიის ჩემპიონი შეიქნა, მაგრამ ბაჯოს ტრავმებმა ბევრი თამაში გააცდენინა. დათარსული „მილანში“ გადავიდა, სადაც მართალია კვლავ მოიპოვა „სკუდეტო“, მაგრამ ასეთი რად გინდა, უფრო ხშირად სკამიდან უყურებდა შეხვედრებს. ალარც 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანეს.

გამოსავალი ბოლონიაშია? დღეს ბაჯოს ცნობილი კიკინა აღარ აქვს, თავი გადაიპარსა და მიმდინარე სეზონში 10 გოლი გაიტანა.

— ჯერ არ ვარ მზად იმისათვის, რომ ჩემი კარიერის ფურცელზე საბოლოო ბალანსი გამოვიყვანო. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მაკლია — ამბობს ბაჯო.

„სკუდეტოსთვის“ ბრძოლა კი მის გარეშე მიმდინარეობს. ჩემპიონობას სხვა ხალხი ეცილება ერთმანეთს, სხვანი ბრწყინავენ.

ფრანჩესკო მორიეროს გოლზე გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით, მაგრამ ეს გოლი „ინტერს“ „პიაჩენცასთან“ სტუმრად რომ მოაგებინა, ღირს იმად რომ დღესაც ვახსენოთ. მასზე მორიეროს დიდი თანაგუნდელი რონალდოც კი არ იტყოდა უარს. „ინტერის“ მოთამაშემ ბურთი მარჯვენა ფრთაზე მიიღო და მოწინააღმდეგის კარისკენ დაიძრა, საბოლოო დარტყმამდე სამი მეტოქე ჩინებული დრიბლინგით ჩამოიტოვა და ისე გაგზავნა ბურთი მეკარისგან მარჯვენა, თავისგან კი მარცხენა დაბალ კუთხეში.

„იუვენტუსს“ „ვიჩენცასთან“ შეხვედრაში თავიდან პენალტი არ მისცეს, არბიტრმა ვიჩენცელი მცველის ხელით თამაში ვერ შენიშნა, მაგრამ მოგვიანებით, ფილიპო ინძაგის წაქცევა ისე აშკარა იყო, რომ ბურთი კარიდან თერთმეტ მეტრში დაიდო და ალესანდრო დელ პიერომაც ზუსტად დაარტყა. ჩირო ფერარა კი მცველია, რომელიც კუთხურების დროს მოწინააღმდეგის საჯარიმოში ჩადის ხოლმე თაურის დასარტყმელად. იმ დღეს თაური ააცილა, მაგრამ სამმცველმოკიდებულმა მეტად უცნაური პოზიციიდან ზუსტად აჰკრა ბურთს.

„მილანი“ შინ გადარჩა „რომასთან“ წაგებას. ცუდად კი არ უთამაშია, უბრალოდ მატჩის დამთავრებამდე წუთი რომ რჩებოდა დედაქალაქელმა ფრანჩესკო ტოტიმ ხარიხას დაამგერა ბურთი. სანტიმეტრით ქვემოთ რომ დაემიზნებინა „რომა“ „სან სიროდან“ სამ ქულას გააყოლებდა ხელს.

„ფიორენტინა“ ათი თამაშია არ დამარცხებულა, „მილანსა“ და „რომასავით“ 24 ქულა აქვს. მისი ვარსკვლავი გაბრიელ ბატისტუტა კი 14 გოლით ლიდერობს იტალიელ ბომბარდირთა სიას.

**პაპუნა ძიძია**



რობერტო ბაჯოს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიდა აკლია

ევროპული საფეხბურთო სეზონი აგვისტოში დაიწყო. საფრანგეთის ჩემპიონი და უეფას თასის ნახევარფინალისტი დასაწყისში დაინავსა — გუნდი ვერ იქნა და ვერ იგებდა, მოგვიანებით კი ჩემპიონთა ლიგის პირველსავე მატჩში პორტუგალიაში 0:3 განადგურდა. შემდგომ ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა, „მონაკო“ გუნდს დაემსგავსა, წარმატებებიც მოვიდა და კლუბიც ერთი ხანობა

# კრიზისში დაბრუნება

ლიდერობდა კიდეც ჩემპიონატს, ლიგის მეოთხედფინალშიც გავიდა, მაგრამ საშობაოდ ხელახალმა კრიზისმა უწია — ჯერ პირველობის ლიდერი „მეცთან“ განადგურდა, შემდეგ საფრანგეთის ლიგის თასზე შინ პენალტების სერიაში დამარცხდა მეორე დივიზიონის კლუბ „ნიორთან“, მერე კი ჩემპიონატში ასევე შინ აუტსაიდერ „კანთან“ წააგო 0:1.

— რაღაც ხდება ჩვენს თავს და ეს ყველამ უნდა გავითავისოთ. დროა, ყველაფერს სერიოზულად შევხედოთ. კრიზისი აშკარაა, მობილიზება გვმართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მომხდარის გამო ვინანოთ. ჩვენი შეცდომებით სხვები სარგებლობენ, ასე გაგრძელება კი დაუშვებელია — განაცხადა „მონაკოს“ მწვრთნელმა, ევროპის 1984 წლის ჩემპიონმა ჟან ტიგანამ.

ჯერჯერობით „მონაკო“ ფორმაში ვერაა. გავრცელდება თუ არა კრიზისი თასისა და პირველობის შემდგომ მატჩებზე, არავინ იცის, ერთი რამ კი აქედანვე შეიძლება ითქვას, თუ გუნდი შაბათს საფრანგეთის თასზე მოყვარულთა გუნდ „დიჟონთან“ წაიფორხილებს, ტიგანას არავინ აპატიებს.

ჩემპიონატის შემდეგ ტურში „მონაკო“ „მარსელს“ ეთამაშება.

# რად ვერ შეწრმზმნ მრთმანმთს?

შაბათს ესპანეთის ჩემპიონატში მადრიდის გუნდებმა „ატლეტიკომ“ და „რეალმა“ თითო გოლი რომ გაუტანეს ერთმანეთს, „ატლეტიკოს“ მწვრთნელი რადომირ ანტიჩი უკმაყოფილო დარჩა და მეტოქე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

— „რეალის“ მიზანი ყოველთვის ფრეა — თქვა ანტიჩმა — ჩვენ მათთან შეხვედრაში გაცილებით პოზიტიურად ვიყავით განწყობილნი. „ატლეტიკოს“ „ვისენტე კალდერონის“ ნებისმიერი სტუმარი გუნდის გამოჭერა სძალუძს, „რეალი“ კი სწორედ ამას უფრთხოდა და ამიტომაც შეცვალა თავისი სისტემა. ყველა ღონე ვიხმარეთ სანახაობრივი ფეხბურთი რომ გვეთამაშა, ისინი კი მხოლოდ ჩვენთვის ხელის შეშლას ლამობდნენ. მათი ფეხბურთი მეტისმეტად ნეგატიური გახლდათ. მხოლოდ თავიანთი საჯარიმოს დაცვაზე ფიქრობდნენ.

ანტიჩი ვერ მალავდა უკმაყოფილებას, რომ მისმა გუნდმა მხოლოდ ანგარიშის გათანაბრება შეძლო მატჩში, რომელშიც ინიციატივას ფლობდა. შეგახსენებთ, რომ „რეალი“ 68-ე წუთზე დაწინაურდა, როდესაც ბრაზილიელმა ნახევარმცველმა სავიომ მიაღწია მიზანს, მასპინძლებმა კი შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრეღა მოახერხეს გაქვითვა და ქულის გადარჩენა. გოლი ხოსე მარიმ შეაგდო.

ესპანეთის ჩემპიონის ტაქტიკას ამ შეხვედრაში უფრო დაცვითი ეთქმოდა. ფეხბურთელები 4-2-2-2-ად იყვნენ მოედანზე განლაგებულნი. ასეთი რამ მიმდინარე სეზონში არ მომხდარა. ნახევარმცველები ხაიმე სანჩესი და ფერნანდო იერო მეტისმეტად უკან გახლდნენ დაწეული. ასეთ თამაშს მათი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი „ორმაგ საყრდენს“ უწოდებს.

— დიახ, ამ სისტემას შეჩვეულნი ვიყავით. ფაბიო კაპელოს დროსაც ხომ „ორმაგ საყრდენს“ ვიყენებდით, ამიტომ ჩვენთვის მოულოდნელი არაფერი ყოფილა — თქვა „რეალის“ ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა — იუპ ჰაინკესმა სხვა ტაქტიკა შემოგვთავაზა და ჩვენც პატივისცემით მოვეკიდეთ მის იდეებს. რაც შეეხება შაბათს, ხაიმეს და რედონდოს იმდღევანდელმა ფუნქციამ მცველებს ერთიორად შეგვიმსუბუქა საქმე. გარდა ამისა, ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ „ატლეტიკო“ შეტევას შეეცდებოდა, მითუფრო რომ ისეთი ფორვარდები ჰყავს, როგორებიც არიან კიკო და ვიერი. ჩვენ მათი მეურვეობა გვჭირდებოდა. ბევრი ასპექტით ვჯობდით მოწინააღმდეგეს და შეხვედრაც უფრო მობილიზებულებმა ჩავატარეთ.

ასეა თუ ისე, ბევრის აზრით ამდაგვარი მოსაწყენი დერბი სულ მცირე ოთხი წლიწადია არ ჩატარებულა. დაცვაზე ყურადღების გამახვილება ალბათ თვით „რეალსაც“ არ ესიამოვნა, რამეთუ „ბარსელონამ“ „სოსიედადთან“ ფრე ითამაშა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამარჯვების შემთხვევაში „სამეფო გუნდს“ ცხრილის სათავეში შეეძლო დაბრუნება. გამარჯვება კი შესაძლებელი იყო. „რეალმა“ ხომ „ვისენტე კალდერონზე“ წინა სამი ვიზიტის დროს წარმატებას მიაღწია. მოკლედ, იუპ ჰაინკესის დაცვისადმი სწრაფვამ ყველას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ესპანეთის ჩემპიონის ბედი ერთში კი არა, 38 შეხვედრაში წყდება.

ახლა „ბარსელონის“ შესახებ. მისი გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ მათი საყვარელი გუნდი ახლანდელი სენისგან განიკურნება და წამლად „ვალენსიას“ შეირგებს. საქმე ისაა, რომ „ბარსელონა“ და „ვალენსია“ 10 დღეში სამჯერ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, ორჯერ თასზე, ერთხელაც ჩემპიონატში. ამ შეხვედრებში გამარჯვება კატალონიელებს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მეტად სჭირდებათ, მათ ხომ კვირას, „სოსიედადთან“ შეხვედრის ბოლო წუთებში ორბურთიანი უპირატესობა გაუშვეს ხელიდან — 2:2 ითამაშეს, მანამდე კი „სალამანკას“ 3:1-ს უგებდნენ და 11 წუთში 3:4 წააგეს.

„თხუთმეტ წუთში ხუთი ქულა დავკარგეთ“ — წერდა ბარსელონაში გამომავალი გაზეთი „სპორტი“.

ქულების ასეთი ფლანგვა რომ არა „ბარსა“ „რეალზე“ ექვსი ქულით იქნებოდა წინ.

— 2:0-ს ვიგებდი და უპირატესობა ქარს გაატანო, სასაცილოა — თქვა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა — მე გალიზიანებული გახლავართ და ჩემი ფეხბურთელებით უკმაყოფილო. ჩვენ საკუთარ შეცდომებზე ვერ ვსწავლობთ, ასე კი ჩემპიონის ტიტულს ვერ მივიპოვებთ.

მიუხედავად მწვრთნელის განწყობილებისა ფეხბურთელები და ასე განსაჯეთ პრესაც კი ოპტიმისტურადა არიან განწყობილი.

— ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემპიონები გავხდებით — ამბობს გუნდის კაპიტანი ხოსეპ გვარდიოლა, რომელიც, როგორც ჩანს, გამოჯანმრთელდა — მთავარი ისაა, რომ ორი თვის მანძილზე კარგად ვთამაშობდით, მერე რა, რომ შედეგები მთლად სასურველი არ გვქონდა. მანამდე ვიგებდით, მაგრამ ცუდად ვთამაშობდით და გვაკრიტიკებდნენ.

ერთადერთი კაცი ვისზეც გუნდის ალმასვლა და ჩავარდნა არ მოქმედებს ლუის ენრიკე გახლავთ. მან კვირასაც კარგად ითამაშა და ანგარიში გახსნა კიდეც. ეს გოლი მეცამეტე იყო მისთვის მიმდინარე სეზონში. ლუის ენრიკე ახლა ესპანელ ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას. მეორეზეა მისივე თანაგუნდელი რივალდო, რომელსაც 10 აქვს გატანილი. სხვათა შორის, რივალდო და სონი ანდერსონი, ორი ბრაზილიელი, ბარსელონელებს იმედს ვერ უმართლებენ. ისინი ვითომცდა რონალდოს შემცვლელები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ აბა სად რონალდო და სად ეს დუეტი. დღეს ბევრი კითხულობს, რად ათამაშებს ვან გაალი ანდერსონს, როდესაც ხუან პიცი არსებობს. ორი სეზონის წინ, „ტენერიფეში“ რომ თამაშობდა, პიცი 31 გოლით ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა და გუნდი უეფას თასზეც გაიყვანა. მას მერე ფორვარდი უპირატესად „ბარსელონას“ სათადარიგო მოთამაშეა, ის კი არა, კინაღამ პორტუგალიაში გაყიდეს.

მაშ ასე, ამ კვირაში „ბარსელონა“ — „ვალენსიას“ სერიალი იწყება. ფავორიტად ბუნებრივია კატალონიელები არიან მიჩნეული. „ვალენსიაში“ კი არეულობაა, თავისი იტალიელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი კრიტიკის ობიექტია, რადგან თასის წინა ეტაპზე გუნდმა მესამე დივიზიონის „ფიგუერესის“ წინააღმდეგ გვარიანად იჯახირა. რანიერიმ თავის მხრივ მისი არგენტინელი მოთამაშე არიელ ორტეგა გააკრიტიკა, უფრო სწორედ გალანძღა: ეგოისტი და გონებაშეზღუდული უწოდა. თავის მხრივ ორტეგამ მწვრთნელზე თქვა მატყუარააო.



ემზარ ზენაიშვილი

# ილუზიებით ნუ ვიცხოვრებთ

**ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადა კარს მოგვადგა. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი საოლიმპიადოდ ორ პრინციპს ერთგულობს: პირველი — საბანი სადამდეც გაგწვდება, იქამდე დაიფარეო და მეორეც — მთავარი ოლიმპიადაში მონაწილეობაა და არა მასში გამარჯვება. ნაგანოში 3 ქართველი სპორტსმენი იასპარეზებს: სამთო მოთხილამურეები — სოფიკო ახმეტელი და ზურაბ ჯიჯიშვილი და ტრამპლინიდან მხტომელი კახა წაქაძე. სწორედ ამის თაობაზე და ოლიმპიადასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს.**

**— ბატონო ემზარ, როგორ მოემზადნენ მომავალი ოლიმპიელები ნაგანოსთვის?**

— საქართველოში სადღეისოდ ზამთრის სახეობების მიმდევართა მომზადების არანაირი პირობა არ არის. ამიტომ ჩვენები ევროპის ქვეყნებში გადიოდნენ შეკრებებს — იტალიაში, ავსტრიაში, ჩეხეთსა და გერმანიაში. მათი ძირითადი ბაზა მაინც ავსტრია იყო, შეძლებისდაგვარად კიდეც მოემზადნენ. რამდენიმე უცხოურ ტურნირშიც იასპარეზეს და სწორედ ევროპაში მათი ხანგრძლივი ყოფნის შედეგია, წაქაძემ, ახმეტელმა და ჯიჯიშვილმა ოლიმპიადის ლიცენზიები რომ მოიპოვეს.

**— სპორტის ზოგიერთ სახეობაში ევროპის ქვეყნებში კი არა, საქართველოში უჭირთ შეკრებების მოწყობა...**

— სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციასაც მეტად მწირი თანხა აქვს ბიუჯეტიდან გამოყოფილი, მაგრამ ამ ფედერაციის თავკაცმა, ფირმა „ყაზბეგის" პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ ყველაფერი იღონა, რომ არაფერი მოჰკლებოდათ ოლიმპიადის ლიცენზიის მფლობელებს. ეგ კი არა, ოლიმპიადაზე საქართველოს დელეგაციის გამგზავრებაც საეჭვო იყო, რომ არა ბატონ გოგის შემწეობა. ამ შეკრებების მოწყობასა და საერთაშორისო ტურნირებში ჩვენებურების მონაწილეობაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სამთო მოთხილამურეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს გერა აბრამიშვილს, რომლის პირადი ნაცნობობისა და უცხოური კონტაქტების წყალობითაც ბევრი სასიკეთო გაკეთდა მომავალი ოლიმპიელებისთვის.

**— ამ სამეულის გარდა სხვებს თუ ჰქონდათ წასვლის შანსი?**

— ზამთრის ოლიმპიადაზე წელს პირველად დაუშვეს სნოუბორდი და დიდი სურვილი გვქონდა, ერთ-ერთი დებიუტანტი პავლე ბურდული ყოფილიყო. იგი უცხოეთში დამოუკიდებლად ემზადებოდა, მეტად ჟინიანი სპორტსმენია და მასაც და ჩვენც ბოლო მომენტამდე იმედი გვქონდა, რომ ოლიმპიადის ლიცენზიას მოიპოვებდა, მაგრამ ნოემბრისა და დეკემბრის შეჯიბრებებში უწინდელზე სუსტად იასპარეზა და ვერ მოხვდა იმ 50 სნოუბორდისტში, რომელნიც ნაგანოში გაემგზავრებიან. სამთო მოთხილამურე ლევან აბრამიშვილსაც ჰქონდა შანსი, მაგრამ ჯერჯერობით ისიც ულიცენზიოდ დარჩა, თუმცა მისი ოლიმპიადიაში მონაწილეობის თეორიული შანსი კვლავაც რჩება. ამიტომ ლევან აბრამიშვილი საოლიმპიადო დელეგაციაშიც კი შევიყვანეთ, როგორც მწვრთნელი-სპორტსმენი, ნაგანოში წამოვა, რადგან, არ არის გამორიცხული, მისი თხილამურებზე შედგომის საკითხი იქ დადებითად გადაწყდეს.

**— რამდენი კაცია ქართულ ოლიმპიურ დელეგაციაში?**

— დაწვრილებით მოგახსენებთ: ოლიმპიურ სოფელში 8 კაცი იცხოვრებს: სოფიკო ახმეტელი, კახა წაქაძე და ზურაბ ჯიჯიშვილი, ნაკრების მწვრთნელი გერა აბრამიშვილი, მწვრთნელი-სპორტსმენი ლევან აბრამიშვილი, საქართველოს დელეგაციის პრეს-ატაშე, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, თარჯიმანი რუსუდან აფციაური და ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ბატონი გოგი თოფაძე. ოლიმპიურ დელეგაციაში შევდივართ აგრეთვე მე, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიის რექტორი ომარ გოგიაშვილი. აი, ეს 11 კაცი მივემგზავრებით იაპონიაში სახელმწიფოს ხარჯებით. სხვათა შორის, წინა, ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადაზე საქართველოს ოფიციალური დელეგაცია 26 კაცს ითვლიდა. გარდა ამისა, ნაგანოში კიდევ 8 კაცი მოდის — სპორტული ჟურნალისტები და ახალგაზრდული ბანაკის წევრები. ამ ხალხმა სპონსორებისა და საკუთარი სახსრებით გაახერხა ოლიმპიადაზე დასწრება.

**— მომავალი ოლიმპიელები ამჟამად სად იმყოფებიან?**

— სოფიკო ახმეტელი და ზურაბ ჯიჯიშვილი ავსტრიაში არიან. იქ ემზადებიან და იქიდანვე ჩამოვლენ ნაგანოში. კახა წაქაძე კი გერმანიაშია, იქაურ ტურნირში ასპარეზობს, მალე ჩეხეთში გადაინაცვლებს, ბოლოს კი წინასაოლიმპიადო საპოროს ტურნირში გამოვა და იქიდან შეუერთდება თანაგუნდელებს.

**— რას უნდა ელოდნენ სპორტის გულშემატკივრები ჩვენი სპორტსმენებისგან?**

— ყველას ვთხოვ, ილუზიებით ნუ იცხოვრებენ ოლიმპიადის დღეებში და რეალურად შეხედონ ვითარებას. ჩვენი ოლიმპიური სამეულისგან არც ერთი ხარისხის მედალს არ ველით, მაგრამ ოლიმპიადაში მონაწილეობა აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ამ სამეულმა ლიცენზიები მოიპოვა და მათ მონაპოვარს წყალში ჩაყრა არ ეგების. ამასთან გამოცდილებასაც მიიღებენ და ეჭვი არ მეპარება, მომავალი ზამთრის ოლიმპიადისთვის ისინიც და სხვებიც უფრო დიდ შედეგებზე იფიქრებენ. სოფიკო ახმეტელი 16 წლისაა და ამ ასაკში, მერწმუნეთ, ბევრნი არ იქნებიან ნაგანოში. უნიჭიერესი ბავშვია და თავის სახეობაში სამომავლოდ ლიდერადაც ვიხილავთ მსოფლიოს უძლიერეს სამთო მოთხილამურეთა შორის. თუნდაც ტრადიცია გვაიძულებს, რომ ქართველებმა ნაგანოში ვიასპარეზოთ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გვაქვს ბაკურიანი, გუდაური, სვანეთი, გვყავს კობა წაქაძე და იაპონიაში ჩვენებურთა ასპარეზობით ჯერ საკუთარ თავს და შემდეგ კი სხვასაც უნდა შევახსენოთ, რომ საქართველოში ზამთრის სპორტი არ ჩამკვდარა.

**ლევან ჯაგახიშვილი**

## კაცი, რომელმაც დაამარცხა სტოკჰოლმი

სტოკჰოლმში 2004 წლის ოლიმპიადის სამასპინძლო კამპანიის საბოტაჟში ბრალდებული შვედი მოქალაქე გაასამართლეს. 27 წლის მატს ჰინზი ცეცხლის მოკიდებისა და აფეთქების მცდელობისთვის 7 წლით მიაბრძანეს ციხეში.

შეგახსენებთ, რომ შარშან სტოკჰოლმის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქად არჩევის კამპანია დიდად აზარალა შვედეთის სპორტულ ნაგებობებზე მიტანილმა მოულოდნელმა იერიშმა, რაც 7 ხანძარსა და 2 აფეთქებაში გამოიხატა. დაზიანდა სტოკჰოლმის 1912 წლის ოლიმპიური და გიოტებორგის „ულევის" სტადიონები ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. პასუხისმგებლობა ამ ტერორისთვის იკისრა ნაკლებადცნობილმა ჯგუფმა „ჩვენ, ვინც ავაშენეთ შვედეთი", რომელიც მოითხოვდა, რომ მსგავსი ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხები სოციალურ მიზნებს მოხმარებოდა. ამ განცხადების მიუხედავად, პოლიციას მიაჩნდა, რომ ყველაფერი ეულად მოქმედი ადამიანის ჩადენილი იყო. შვედეთში თავდასხმის სავარაუდო ობიექტებზე სადღელამისო თვალთვალი დაწესდა და ბოლოსდაბოლოს დამნაშავეც გამოიჭირეს — ჰინზი სტოკჰოლმის სკულპტურული პარკის ერთ-ერთი ქანდაკების ახლოს, ასაფეთქებელი ნივთიერებითა და დეტონატორებით დატვირთული დააკავეს. თუმცა მისმა დაკავებამ საქმეს ბევრით ვერაფრით უშველა — ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება ათენს მიანიჭეს. „თუ ქვეყანა უსაფრთხო არ არის, არავის სურს იქ ოლიმპიადის ჩატარება" — განაცხადა შვედეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა კარლ-გუსტავ ანდერსონმა, რომელმაც სტოკჰოლმის დამარცხების ძირითად მიზეზად სწორედ ავისმქნელთა საქმიანობა დაასახელა.

თავად ჰინზმა პროცესზე განაცხადა, ბომბის აფეთქებას არც ვაპირებდი, პოლიციის გაცუცურაკება მინდოდაო: „უბრალოდ, გაზეთებისთვის უნდა დამერეკა და მეთქვა, ქანდაკებაზე ბომბია, რათა პოლიცია სულელურ მდგომარეობაში აღმოჩენილიყო". ჰინზს „ხუმრობა" ვერ გაუგეს, ის კი არა, სტოკჰოლმის გარეუბანში ჩოგბურთის დარბაზისთვის ცეცხლის მოკიდებაც აჰკიდეს და კარგა ხნით ჩამოაშორეს „საზოგადოებრივ საქმიანობას".

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ესპანეთის თასი. 1-8 ფინალი. I მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — ვალენსია | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ოსასუნა — დეპორტივო | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ალავესი — რეალი | 5,0 | 3,1 | 1,5 |
| სოსიედადი — ბეტისი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| სარაგოსა — ატლეტიკო | 2,3 | 2,7 | 2,5 |
| ესტრემადურა — ბილბაო | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| ვალიადოლიდი — მერიდა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მალიორკა — სელტა | 1,8 | 2,9 | 3,4 |

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2,2 | ჩელსი | 2,2 | ინტერი | 1,7 |
| იუვენტუსი | 2,8 | შტუტგარტი | 2,5 | აიაქსი | 2,5 |
| რეალი | 3,0 | ვიჩენცა | 2,5 | ლაციო | 3,0 |
| ბაიერნი | 4,0 | ბეტისი | 4,0 | ატლეტიკო | 4,0 |
| დორტმუნდი | 6,0 | აეკ | 7,0 | ასტონ ვილა | 7,0 |
| ლევერკუზენი | 8,0 | სლავია | 15,0 | შალკე | 10,0 |
| მონაკო | 8,0 | ლოკომოტივი | 20,0 | ოსერი | 15,0 |
| დინამო | 10,0 | როდა | 20,0 | სპარტაკი | 30,0 |

### ეროვნული ჩემპიონატები:

| იტალია | | ინგლისი | | გერმანია | |
|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 1,3 | მანჩესტერი | 1,2 | ბაიერნი | 1,5 |
| იუვენტუსი | 3,0 | ჩელსი | 3,0 | კაიზერსლაუტერნი | 1,9 |
| მილანი | 5,0 | ბლეკბერნი | 4,0 | შტუტგარტი | 7,0 |
| პარმა | 8,0 | ლივერპული | 4,0 | ლევერკუზენი | 7,0 |
| | | არსენალი | 8,0 | | |

| საფრანგეთი | | შვეიცარია | | თურქეთი | |
|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 2,0 | გრასჰოპერი | 1,1 | ფენერბაჰჩე | 1,4 |
| მონაკო | 2,0 | ლოზანა | 5,0 | ტრაბზონსპორი | 3,0 |
| მარსელი | 5,0 | სერვეტი | 5,0 | გალათასარაი | 3,0 |
| მეცი | 5,0 | არაუ | 8,0 | ბეშიქთაში | 4,0 |

| ბელგია | | შოტლანდია | | ავსტრია | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 1,01 | რეინჯერსი | 1,5 | შტურმი | 1,02 |
| გენკი | 8,0 | სელტიკი | 2,0 | რაპიდი | 5,0 |
| ანდერლეხტი | 8,0 | ჰართსი | 7,0 | გრაცერი | 8,0 |

| ესპანეთი | | ჰოლანდია | | პორტუგალია | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 1,6 | აიაქსი | 1,01 | პორტუ | 1,01 |
| რეალი | 1,8 | ეინდჰოვენი | 8,0 | ბენფიკა | 5,0 |
| ატლეტიკო | 8,0 | ფეიენოორდი | 9,0 | სპორტინგი | 7,0 |

ნებისმიერი სხვა გუნდი, რომელიც სიაში არ არის — 10,0

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ნამდვილი ბორჯომი

5 განმასხვავებელი ნიშანი

ნამდვილი ბორჯომი ჩამოსხმულია ბორჯომის ბუნებრივი წყლების წყაროებიდან. იმისათვის, რომ თქვენ დაცული იყოთ ფალსიფიკაციისაგან, შემუშავებულია დაცვის სისტემა, რომელიც შედგება ხუთი ხარისხისაგან.




Georgian Glass & Mineral Water Co. N.V.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვარსკვლავი დაიბადა



კაროლ კუჩერა და კარინა ჰაბსუდოვა

პერტი. ავსტრალია. ჰოფმანის თასი. ჰარდი. საპრიზო 587 880 $

A ჯგუფი

**ავსტრალია — შვედეთი 3:0**

ანაბელ ელვუდი (ავსტრალია) — ასა კარლსონი (შვედეთი) 6:4, 6:4; პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:3, 1:6, 7:5; რაფტერი-ელვუდი — კარლსონი-ენკვისტი 6:2, 6:4

**ესპანეთი — სლოვაკეთი 2:1**

არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:3; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 7:5, 6:4; სანჩეს-მოია — ჰაბსუდოვა-კუჩერა 7:6 (7:3), 6:1

**სლოვაკეთი — შვედეთი 3:0**

**ავსტრალია — ესპანეთი 2:1**

**სლოვაკეთი — ავსტრალია 2:1**

**ესპანეთი — შვედეთი 2:1**

B ჯგუფი

**სამხ. აფრიკა — აშშ 2:1**

უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — ჯონათან სტარკი (აშშ) 3:6, 6:3, 6:4; ჩანდა რუბინი (აშშ) — ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:3; ფერერა-კუტცერი — სტარკი-რუბინი 6:4, 6:3

**საფრანგეთი — გერმანია 3:0**

მარი პირსი (საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 4:6, 6:4, 6:3; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4, 6:4; პიოლინი-პირსი — ჰუბერი-ჰაასი 2:6, 6:3, 7:3

**სამხ. აფრიკა — გერმანია 2:1**

**საფრანგეთი — აშშ 3:0**

A ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | სლოვაკეთი | 2 | 1 |
| 2. | ავსტრალია | 2 | 1 |
| 3. | ესპანეთი | 2 | 1 |
| 4. | შვედეთი | 0 | 3 |

B ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | საფრანგეთი | 3 | 0 |
| 2. | სამხრეთ აფრიკა | 2 | 1 |
| 3. | აშშ | 1 | 2 |
| 4. | გერმანია | 0 | 3 |

**საფრანგეთი — სამხ. აფრიკა 3:0**

**აშშ — გერმანია 2:1**

ფინალი

**სლოვაკეთი — საფრანგეთი 2:1**

პირსი — ჰაბსუდოვა 6:4, 7:5; კუჩერა — პიოლინი 7:6 (9:7), 6:4; კუჩერა-ჰაბსუდოვა — პიოლინი-პირსი 6:3, 6:4

ჰოფმანის თასი, რომლისთვისაც ეროვნული გუნდები შერეული შემადგენლობით — კაცითა და ქალით იბრძვიან, ავსტრალიის ღია პირველობისთვის მზადებაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს, ამიტომ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები კლასიფიკაციისთვის ამ არაფრისმომცემ ტურნირს, როგორც წესი, გვერდს არ უვლიან. ამჯერადაც ავსტრალიურ პერტში მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტის ბევრი წარმომადგენელი შეიკრიბა. ფავორიტებად პირველად განთესილი ესპანელები ითვლებოდნენ, რომელთაც საუკეთესოთა ათეულის ორი წარმომადგენლის — კარლოს მოიასა და არანჩა სანჩეს-ვიკარიოს იმედი ჰქონდათ. არანჩამ მართლაც შესანიშნავად იასპარეზა და პირად შეხვედრებში ერთი სეტიც კი არ დათმო, მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელმა ფინალისტმა მოიამ პარტნიორს მხარი ვერ აუბა და ზედიზედ სამი მარცხი იწვნია, რამაც ესპანელებს ფინალში გასვლის შესაძლებლობა მოუსპო. მარტომ იომა თეისტომთა წინაშე მსოფლიოს მეორე ჩოგანმა პატრიკ რაფტერმაც, რომელსაც მისი პარტნიორის — მსოფლიოს 93-ე ჩოგნის ანაბელ ელვუდის შემხედვარეს, ალბათ, თავიდანვე ჰქონდა ჩაქნეული ხელი საბოლოო წარმატებაზე. ჯგუფში კი, ყველასათვის მოულოდნელად, სლოვაკებმა გაიმარჯვეს, რომელთაც ტურნირზე ასპარეზობის უფლება მხოლოდ რუმინეთთან წინასწარ შეხვედრაში გამარჯვებამ მოუპოვა. მეორე ჯგუფში ფრანგთა პირს-პიოლინის მძლავრმა დუეტმა მეტოქეებს არანაირი შანსი არ დაუტოვა და სამივე მატჩი მშრალზე მოიგო.

ფინალში ფავორიტებად ერთი შეხედვით დაუმარცხებელი ფრანგები ჩანდნენ, მაგრამ სლოვაკები კიდევ ერთი მოულოდნელობის ავტორები შეიქნენ. თავიდან დაძაბულ შეხვედრაში პირსმა ჰაბსუდოვა დაამარცხა 6:4, 7:5, თუმცა მატჩის განმავლობაში 15 ბრეიკპოინტის გადარჩენამ მოუწია. ანგარიში გაათანაბრა შესანიშნავ ფორმაში მყოფმა კუჩერამ, რომელმაც უიმბლდონის ფინალისტ პიოლინს ტურნირზე პირველი მარცხი აგემა. გამარჯვებული წყვილთა შეხვედრაში გამოვლინდა, რომელშიც პირსის ქალთა ჩოგბურთისთვის მძლავრ მოწოდებებს კუჩერა იოლად გაუმკლავდა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა კიდეც 6:3, 6:4.

ადელაიდა. ავსტრალიის ჰარდკორტის ჩემპიონატი. ჰარდი. საპრიზო 340 000 $

**მეოთხედფინალი:** ტოდ ვუდბრიჯი (5, ავსტრალია) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 2:6, 6:4, 6:4; ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:7 (3:7), 6:1, 7:5; ანდრე აგასი (აშშ) — ბრეტ სტივენი (ახალი ზელანდია) 1:6, 6:1, 6:1; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — ვინს სპადეა (აშშ) 7:5, 3:6, 6:1

**ნახევარფინალი:** ჰიუიტი — აგასი 7:6 (7:5), 7:6 (7:4); სტოლტენბერგი — ვუდბრიჯი 6:4, 6:1

**ფინალი:** ჰიუტი — სტოლტენბერგი 3:6, 6:3, 7:6 (7:4)

კვირას ავსტრალიას ახალი ეროვნული გმირი მოევლინა — 16 წლის ლეიტონ ჰიუიტმა თავის მეორე პროფესიულ ტურნირზე გამარჯვება და მწვანე კონტინენტის ლამის ყველა გაზეთის პირველ გვერდზე მოხსენიების პატივი მოიპოვა. ფინალისკენ გზაზე ლეიტონმა ჯერ თანამემამულე სკოტ დრეიპერი, საკუთარი მოძღვარი მარკ ვუდფორდი და ამერიკელი ვინს სპადეა დაამარცხა, ნახევარფინალში კი თავის კერპს და მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს — ანდრე აგასის გადაეყარა. განთესილთა მასობრივი გავარდნის შემდეგ, რომელთა შორის იონას ბიორკმანი, გუსტავო კერტენი და ჯიმ კურიეც იყვნენ, ლიპდადებულ ანდრეს ტურნირზე გამარჯვებას უქადდნენ, მაგრამ გამოუცდელმა თინეიჯერმა ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მიმღებს არცერთი ბრეიკი არ დაანება, გადამწყვეტ მომენტებში — ტაიბრეიკებზე შესაშური სიმშვიდე გამოიჩინა და სენსაციური გამარჯვება მოიპოვა. ფინალში ჰიუიტი კვლავ შეუჩერებელი იყო უკანა ხაზიდან თამაშში, მისი მორიგი მსხვერპლი კი კიდევ ერთი თანამემამულე — ჯეისონ სტოლტენბერგი შეიქნა. ნორჩმა ავსტრალიელმა ჯიბის ფულად უჩვეულოდ დიდი თანხა — 45 ათასი დოლარი მიიღო და ყველაზე დაბალი კლასიფიკაციის მქონე ATP-ის ტურნირის გამარჯვებული გახდა — გასულ კვირამდე ლეიტონს მხოლოდ 550-ე ადგილი ეჭირა ჩოგბურთელთა სიაში, თუმცა ამ გმირობის შემდეგ ერთბაშად 350 საფეხურით გაიუმჯობესა მდგომარეობა. ამავე დღეს ავსტრალიელმა სკოლისთვის თავის მინებება და პროფესიონალად გახდომა გადაწყვიტა, შანსის ხელიდან გაშვება არ ღირს, თანაც ჩოგბურთში თუ არაფერი გამომივიდა, სკოლაში დაბრუნება ყოველთვის შეიძლება.



ლეიტონ ჰიუიტი

დოჰა. ყატარის ღია პირველობა. ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $

**მეოთხედფინალი:** ფაბრის სანტორო (8, საფრანგეთი) — გრეგ რუზეცკი (1, ინგლისი) 6:2, 3:6, 6:3; პეტერ კორდა (3, ჩეხეთი) — ტიმ ჰენმანი (5, ინგლისი) 7:5, 4:6, 6:4; გორან ივანიშევიჩი (4, ხორვატია) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 7:6 (7:5), 6:7 (5:7), 6:3; ანდრეი მედვედევი (7, უკრაინა) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 4:6, 6:4, 6:4

**ნახევარფინალი:** კორდა — მედვედევი 6:3, 6:4, სანტორო — ივანიშევიჩი 6:1, 6:4

**ფინალი:** კორდა — სანტორო 6:0, 6:3

უამინდობით გამოწვეული შეფერხებების გამო დოჰაში მეოთხედფინალებიც და ნახევარფინალებიც შაბათს გაიმართა და ფრანგ ფინალისტს — ფაბრის სანტოროს ერთ დღეში მსოფლიოს ორ უძლიერეს მომწოდებელთან — გრეგ რუზეცკისა და გორან ივანიშევიჩთან მოუწია შებმამ. ფრანგმა ეს ორი ცაცია კი მოარჯულა, მაგრამ კვირა დილით წყვილების ფინალიც რომ გაუხდა სათამაშო, დაღლილობისგან მოძრაობის თავიც აღარ შერჩა. სწორედ ამიტომ კორდასთან მატჩში პირველად მხოლოდ მე-11 გეიმში იმარჯვა. კორდამ კარიერაში მეცხრე ტურნირის მოგებისთვის 137 ათასი დოლარი მიიღო.

**ავთანდილ სვანიძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

9 იანვარი

**ბოსტონი 92:111 სიეტლი**

ბოსტონი: ნაითი (21+10 მოხსნა)
სიეტლი: ბეიკერი (22), ელისი (19)

**დეტროიტი 101:72 გოლდენ სტ.**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (19)
გოლდენ სტეიტი: სმიტი (16)

**ატლანტა 82:77 ვაშინგტონი**

ატლანტა: სმიტი (22), ჰენდერსონი (18+11 მოხსნა)
ვაშინგტონი: უებერი (20+12 მოხსნა), ჰოვარდი (19)

ჯორჯიელებმა კვლავ ნაკლული შემადგენლობით ითამაშეს: დედაქალაქელებთან შეხვედრაში გამთამაშებელი მუკი ბლეილოკი აკლდათ, ვერ ითამაშა ახალბედა ედ გრეიმაც, მაგრამ მათი არყოფნა მაინცდამაინც არ დასტყობია გუნდს. ატლანტამ პირველი ნახევარი 11 ქულით მოიგო და მთელი თამაშის განმავლობაში ლიდერობდა.

**მინესოტა 96:91 პორტლენდი**

მინესოტა: მარბერი (27), მიტჩელი (20)
პორტლენდი: რაიდერი (32)

მინესოტას 20 წლის გამთამაშებელმა სტივენ მარბერიმ (27 ქულა, 7 პასი) მოაგებინა. პორტლენდმა პირველი ნახევარი 49:44 მოიგო, მაგრამ მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი ბოლო მეოთხედში მშვენივრად ითამაშა მარბერიმ, რომელსაც სათადარიგოთაგან კარგად წაეხმარა სემ მიტჩელი. მარბერიმ 44,4 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო, 21 წამით ადრე კი ორი საჯარიმო, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა, სულ კი მინესოტას ბოლო 14 ქულიდან 8 მის ანგარიშზეა.

**ნიუ იორკი 89:90 ჩიკაგო**

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (19)
ჩიკაგო: ჯორდანი (44)

იუინგის ტრავმის შემდეგ ნიუ იორკს გამოკვეთილი ლიდერი აღარა ჰყავს. ცენტრის ადგილზე ხან თავდამსხმელი ჩარლზ ოუკლი თამაშობს, ხანაც პორტლენდიდან გადმოსული კრის დადლი, მაგრამ სად იუინგი და სად ესენი. მიუხედავად ამისა, ნიქსი მაინც ახერხებს დივიზიონში მეორე ადგილის შენარჩუნებას. [illegible]აგომ კი საქმე გამოისწორა და ცენტ[illegible]ურ დივიზიონში მყარად დამკვიდრდა [illegible]ელ ადგილზე რაც, ცხადია, ყველაზე მეტად მისი ყოჩის მაიკლ ჯორდანის დამსახურებაა. დიად მაიკლს კი კარგად უბამენ მხარს თავდამსხმელები — მოხსნის დიდოსტატი დენის როდმანი და ხორვატი ტონი კუკოჩი.



# პიპენი დაბრუნდა

**დენვერი 79:98 მაიამი**

დენვერი: ელისი (19)
მაიამი: მურნინგი (26+12 მოხსნა), ბრაუნი (19)

წყალწაღებულმა დენვერმა ზედიზედ 16-ედ წააგო.

**ვანკუვერი 90:98 შარლოტი**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (22), რივზი (20)
შარლოტი: რაისი (26), დივაცი (18)

**ფინიქსი 100:79 სან ანტონიო**

ფინიქსი: მაკდაიესი (18), ჩეპმენი (18)
სან ანტონიო: პერსონი (16), რობინსონი (15+16 მოხსნა)

ხეირიანი ცენტრის გარეშე მოთამაშე ფინიქსელებმა მაინც დაჯაბნეს ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრის, ადმირალ დევიდ რობინსონის რაზმი. მაკდაიესისა და ჩეპმენის გარდა თავი გამოიჩინეს სტივ ნეშმა (16 ქულა), სედრიკ სებალოსმა (14 ქულა), ჯორჯ მაკლაუდმა (13) და ჯეისონ კიდმა (10 ქულა, 12 პასი).

**კლიპერსი 115:125 ლეიკერსი**

კლიპერსი: ტეილორი (26), მიურეი (20)
ლეიკერსი: ონილი (32), ჯონსი (27)

ლოსანჯელესურ დერბიში ფავორიტმა ლეიკერსმა გაიმარჯვა. კვლავ მშვენივრად ითამაშეს ლეიკერსის ლიდერებმა ონილმა და ჯონსმა. შაკილ ონილის მოსვლის შემდეგ ელდენ კემპბელმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, მაგრამ იქიდანაც კარგად გაისარჯა (13 ქულა, 10 მოხსნა), ისევე, როგორც კობი ბრაიანტი (16 ქულა).

10 იანვარი

**კლივლენდი 93:102 ტორონტო**

კლივლენდი: ანდერსონი (24)
ტორონტო: სტუდემაიერი (34), დანიელსი (21)

სეზონში მეხუთედ გაიმარჯვა კანადურმა გუნდმა „ტორონტო რეპტორზმა", რაც ძირითადად 1995-96 წლების საუკეთესო ახალბედის დეიმონ სტუდემაიერის დამსახურებაა.

**ჰიუსტონი 84:111 იუტა**

ჰიუსტონი: უილისი (20)
იუტა: მელოუნი (24), სტოქტონი (16)

ლიდერთა სამეულის არყოფნაში „ჰიუსტონ როკეტსის" მეთაურობა კევინ უილისმა იდო თავს, მას ოთელა ჰარინგტონი წამოეხმარა 14 ქულითა და 13 მოხსნით, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა NBA-ს გასული სეზონის ფინალისტის დასამარცხებლად და რაკეტებმა ზედიზედ მესამედ წააგეს. იუტას მწვრთნელ ჯერი სლოუნისთვის კი ეს გამარჯვება ლიგაში მე-600 იყო.

**დალასი 79:84 ინდიანა**

დალასი: ბრედლი (17+14 მოხსნა)
ინდიანა: მილერი (24)

**სან ანტონიო 109:67 საკრამენტო**

სან ანტონიო: დანკანი (28+16 მოხსნა), რობინსონი (24)
საკრამენტო: უილიამსონი (17)

სანანტონიოელმა დეზებმა ყველაფერში დაჯაბნეს საკრამენტოელი მეფეები. თავად განსაჯეთ: ანგარიშში სხვაობა — 42 ქულა, მოხსნებში — 15, შედეგიან გადაცემებში — 14.

**ჩიკაგო 87:82 გოლდენ სტ.**

ჩიკაგო: ჯორდანი (32)
გოლდენ სტეიტი: სმიტი (23+11 მოხსნა)

როგორც იქნა, გამოჩნდა სკოტი პიპენი, მან 35 თამაში გამოტოვა და პირველივე მატჩის 31 წუთში 14 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი მიითვალა და თამაშის შემდეგ თქვა, სეზონს აქ დავამთავრებო. მისი მოსვლით მთელი გუნდი კმაყოფილია. ცენტრი ლუკ ლონგლი ამბობს, თავს ისევ ჩემპიონებად ვგრძნობთ და ალბათ ვერაფერი შეგვიშლის ხელს ტიტულის მეექვსედ მოპოვებაშიო. თვითონ თამაშზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ ჩიკაგოს ისევ ჯორდანმა მოაგებინა, ვინაც თავისი 32 ქულიდან 17 ბოლო მეოთხედში გაუხერხა თავისიანებს.

**ორლანდო 90:82 ბოსტონი**

ორლანდო: სეიკლი (19+12 მოხსნა)
ბოსტონი: უოლკერი (21+12 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 101:108 მინესოტა**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (22), ქაიტლზი (22)
მინესოტა: გულიოტა (24)

**მილუოკი 95:90 პორტლენდი**

მილუოკი: ალენი (23), გილიამი (21)
პორტლენდი: ანდერსონი (31), უოლესი (23)

11 იანვარი

**ლეიკერსი 93:98 შარლოტი**

ლეიკერსი: ონილი (32+13 მოხსნა)
შარლოტი: უესლი (23), მეისონი (22), რაისი (21)

შაკილ ონილი კვლავ საუკეთესო იყო ლეიკერსში, მაგრამ მისიანები შერცხვნენ შინ.

**ვანკუვერი 90:96 მაიამი**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (26+10 მოხსნა)
მაიამი: ჰარდევეი (20), მურნინგი (17-15 მოხსნა)

**დეტროიტი 113:85 კლიპერსი**

დეტროიტი: ჰილი (33+10 მოხსნა), სტეკჰაუზი (20)
კლიპერსი: ბარი (17)

**ვაშინგტონი 102:107 ატლანტა**

ვაშინგტონი: სტრიკლენდი (37+10 პასი+8 მოხსნა), უებერი (25+10 მოხსნა)
ატლანტა: ლეიტნერი (23), სმიტი (22)

როდ სტრიკლენდმა კარიერის რეკორდი დაამყარა 37 ქულით. ვაშინგტონის 191-სანტიმეტრიან გამთამაშებელს 2 მოხსნა დააკლდა სამმაგ დუბლამდე, მაგრამ მიუხედავად მისი და კრის უებერის უებრო თამაშისა, ვაშინგტონი შინ მაინც დამარცხდა ოვერტაიმში.

**ნიუ იორკი 92:91 სიეტლი**

ნიუ იორკი: ჯონსონი (20)
სიეტლი: შრემპფი (23+13 მოხსნა)

მატჩის დამთავრებამდე 1,43 წუთით ადრე ნიუ იორკი 90:89 იგებდა, ვინ ბეიკერის ზუსტმა ორქულიანმა კი სიეტლი დააწინაურა, მაგრამ ლარი ჯონსონის ორი ზუსტი საჯარიმო გადამწყვეტი აღმოჩნდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 23 | 11 | 67,6 |
| ნიუ იორკი | 20 | 15 | 57,1 |
| ნიუ ჯერსი | 18 | 16 | 52,9 |
| ორლანდო | 19 | 17 | 52,8 |
| ვაშინგტონი | 19 | 19 | 50,0 |
| ბოსტონი | 16 | 18 | 47,1 |
| ფილადელფია | 9 | 23 | 28,1 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 25 | 11 | 69,4 |
| ინდიანა | 23 | 11 | 67,6 |
| ატლანტა | 22 | 12 | 64,7 |
| შარლოტი | 22 | 13 | 62,9 |
| კლივლენდი | 20 | 13 | 60,6 |
| დეტროიტი | 17 | 18 | 48,6 |
| მილუოკი | 16 | 19 | 45,7 |
| ტორონტო | 5 | 30 | 14,3 |

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 23 | 11 | 67,6 |
| სან ანტონიო | 23 | 12 | 65,7 |
| ჰიუსტონი | 17 | 15 | 53,1 |
| მინესოტა | 18 | 16 | 52,9 |
| ვანკუვერი | 10 | 27 | 27,0 |
| დალასი | 6 | 29 | 17,1 |
| დენვერი | 2 | 31 | 6,1 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიეტლი | 29 | 7 | 80,6 |
| ლეიკერსი | 27 | 9 | 75,0 |
| ფინიქსი | 22 | 10 | 68,8 |
| პორტლენდი | 19 | 15 | 55,9 |
| საკრამენტო | 15 | 21 | 41,7 |
| კლიპერსი | 9 | 27 | 25,0 |
| გოლდენ სტეიტი | 7 | 25 | 21,9 |

რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემი შვილისა მე ვიცი



ვაშინგტონელ ბონდრას (12) გოლი ფილადელფიელ გარტ სნოუს კარში

**ვაშინგტონი — ფილადელფია 4:1**

**შაიბები: ბრინდამორი 18(0:1), ბრიუნე 6(1:1), ბონდრა 27(2:1), ტინორდი 8(3:1), ბერუბი 4(4:1)**

მატჩის წინ რიჩარდ ჰანტერმა იწინასწარმეტყველა, რომ მისი ვაჟიშვილისთვის, დეილისთვის ეს დღე ისტორიული გახდებოდა, რაც მეტად საეჭვო გახლდათ. საქმე ისაა, რომ ვაშინგტონის ვეტერანი არც თავის საუკეთესო წლებში ითვლებოდა საუკეთესო ბომბარდირად, იგი უფრო ძალისმიერი ფორვარდის მოვალეობას ასრულებდა. ბოლო სეზონებში კი უმცროსმა ჰანტერმა ამპლუა იცვალა და მეტოქეთა ლიდერების ნეიტრალიზება დაეკისრა. ამ მატჩამდე მას 45 თამაშში მხოლოდ 13(4+9) ქულა ჰქონდა და საიუბილეო, 1000-ქულიან ზღვრამდე 3 ქულაღა აშორებდა. უფროსი ჰანტერი მართალი აღმოჩნდა: დეილმა სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მეორე პერიოდში ფორვარდმა ზედიზედ სამი საგოლე პასით მოამარაგა პარტნიორები და ნჰლ-ის ისტორიაში 49-ე მოთამაშე გახდა, რომელმაც 1000 ქულას უწია.

სტუმრებმა კი, რომლებიც გააოცა ჰანტერის გმირობამ, ვერაფერი გააწყვეს და ვაშინგტონმა მეტად პრინციპულ მატჩში გაიმარჯვა.

ჰანტერის წარმატებამ დედაქალაქელებს უნიკალური რეკორდი დაამყარებინა: ერთი სეზონის განმავლობაში ერთბაშად სამმა მოთამაშემ მიაღწია 1000-ქულიან ზღვარს. შეგახსენებთ, რომ ეს მანამდე ადამ ოუთსმა და ფილ ჰაუსლიმ მოახერხეს.

**9 იანვარი.** ნიუ ჯერსი — ტამპა 4:1, ვაშინგტონი — ფილადელფია 4:1, ჩიკაგო — ფინიქსი 2:4, დალასი — დეტროიტი 3:3, კალგარი — ფლორიდა 3:3, ანაჰაიმი — ედმონტონი 1:5

**10 იანვარი.** პიტსბურგი — ნიუ ჯერსი 3:4, აილენდერსი — კაროლინა 1:2, ტორონტო — ჩიკაგო 3:4, კოლორადო — ოტავა 3:3, კალგარი — სენტ ლუისი 1:5, ვანკუვერი — ფლორიდა 2:2, სან ხოსე — ბუფალო 5:2, ლოს ანჯელესი — ედმონტონი 3:4

**11 იანვარი.** ტამპა — ფილადელფია 2:5, დეტროიტი — ვაშინგტონი 2:0, ფინიქსი — ოტავა 4:4, ანაჰაიმი — დალასი 2:1

ბოლო წლებია, ედმონტონი ლიგაში ერთ-ერთ პერსპექტიულ გუნდად ითვლება, მაგრამ ამ სეზონში საქმე ცუდად მიუდის და კლუბის გენერალური მენეჯერი გლენ საზერი იძულებული გახდა, კარდინალური ცვლილებები განეხორციელებინა. მან, უპირველეს ყოვლისა, „მენავთობეთა" თავდასხმის გაძლიერება განიზრახა და საამისოდ შემტევი მცველი რომან ჰამრლიკი მიიწვია, რომელიც თავიდანვე ენერგიულად ათამაშდა. მენეჯერმა ეს არ იკმარა და წამყვანი ფორვარდი ჯესონ არნოტი ნიუ ჯერსიში გაუშვა, რადგან ამ იმედისმომცემმა და ნჰლ-ის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეულმა მოთამაშემ ბოლომდე ვერ გამოავლინა თავისი პოტენციალი. სამაგიეროდ, „ეშმაკებმა" ედმონტონს ბილ გერინი და ვალერი ზელეპუკინი დაუთმეს. „მენავთობეთა" ბოლო შენაძენი დალასელი ძალისმიერი ფორვარდი ჰრკაჩი იყო. ყოველივე ამან უმალ გამოიღო ნაყოფი — ახალბედებმა ჰამრლიკს ტოლი არ დაუდეს და პირველივე მატჩებში გამოირჩნენ. ანაჰაიმთან შეხვედრაში მათ ყველა საგოლე კომბინაციაში მიიღეს მონაწილეობა, თანაც ჰრკაჩმა (1+1) და გერინმა (1+1,6) ორი ქულა მიითვალეს, ხოლო ლოს ანჯელესთან ამ მოთამაშეებმა თითო-თითო გოლი გაიტანეს. ჰამრლიკმა ორი შედეგიანი პასი გააკეთა, ედმონტონმა კი ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა.

რაც შეეხებათ ედმონტონიდან წასულებს, მათგან ჯერჯერობით მხოლოდ არნოტმა შეძლო ერთი შაიბის გატანა ახალ კლუბში, თუმცა, ნიუ ჯერსიმ ვერაფერი გააწყო შინ მისულ პიტსბურგთან. აღსანიშნავია, რომ „პინგვინების" თავკაცებმა, როგორც იქნა, იაგრსა და ფრენსისს საკადრისი პარტნიორი გამოუძებნეს — ბარნსმა „ეშმაკებს" სამი გოლი შეუგდო, რასაც ნიუ ჯერსის მეტოქეები ზოგჯერ მთელი შემადგენლობით ვერ ახერხებენ. იარომირ იაგრმა უკანასკნელ 8 მატჩში 16(4+12) ქულა დააგროვა და 52(20+32) ქულით ბომბარდირთა პირველ ხუთეულში შეიჭრა. საინტერესოა, რომ ეს ბარნსის პირველი ჰეთ-თრიქი ბოლო ექვს წელიწადში.

წლეულს თავისი პირველი გოლი გაიტანა ფინიქსელმა ოლეგ ტვერდოვსკიმ. მოგეხსენებათ, ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი თითქმის ნახევარი სეზონი ეომებოდა კლუბის ხელმძღვანელებს და ახლახანს შეუერთდა გუნდს. რუსი მცველის შაიბა, რომელიც მან ათამაშებულ ჩიკაგოს შეუგდო, გადამწყვეტი აღმოჩნდა, მანამდე კი მისი ზუსტი პასი „კოიოტების" სნაიპერმა ტკაჩუკმა გამოიყენა.

მაყურებელს თავი შეახსენა ფლორიდის ვეტერანმა კირკ მიულერმა, რომელმაც ორი ზუსტი დარტყმით შეწყვიტა ხანგრძლივი უგოლობა და „პანტერებს" კალგარიში ქულა მოუტანა.



ლოსანჯელესელებმა და ედმონტონელებმა არც თავი დაზოგეს და არც ერთმანეთი

ლიგის ერთ-ერთი ფავორიტის, კოლორადოს კეთილგანწყობა თავისი მეტოქეების მიმართ იმაში გამოიხატა, რომ ოტავასთან „ზვავმა" მე-15 მატჩი დაასრულა ფრედ. „სენატორთა" რიგებში ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა ალფრედსონმა ისე გაამხნევა თავისი პარტნიორი იაშინი, რომ ამ უკანასკნელმა ერთბაშად სამი გოლი გაუტანა რუას, რის შედეგადაც სტუმრები 57-ე წუთამდე 3:1 იგებდნენ. ოზოლინშსა (6) და კორბეს (2+0,10) სულ 17 წამი დასჭირდათ, ლიდერი მარცხისგან რომ ეხსნათ.

სხვათა შორის, იაშინი (20) ფინიქსთანაც გამოირჩა, თუმცა, ამჯერად „სენატორებმა" ფრე იკმარეს. კვლავ შედეგიანა „კოიოტების" ლიდერი ტკაჩუკი, რომელმაც ამ მატჩშიც გაიტანა და 28 გოლით სნაიპერთა შორის მე-3 ადგილზე აინაცვლა.

დალასი კი ყველას აოცებს. თითქმის თვეზე მეტია, ლიდერების გარეშე თამაშობდა და ამასობაში გუნდი ისე შეიკრა, რომ არც ერთი მატჩი არ წაუგია, ახლა კი, მოდანოსა და ნეუნდაიკის გამოჯანმრთელებისთანავე უკვე მეორედ დამარცხდა, ისიც შინ. ანაჰაიმთან შეხვედრაში დალასი ორი პერიოდის შემდეგ 1:0 იგებდა და თითქოს გოლკიპერ ბელფორს მორიგი „შათაუტის" შესრულება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ახალბედა ნილსენის კურიოზულმა გოლმა „იხვები" გაამხნევა და გუნდის ლიდერებმა — კარიამ და სელიანემ საკოს (7) ოვერტაიმში მორიგი გოლი გაატანინეს.

მანამდე კი დალასს კიდევ ერთ გრანდთან, დეტროიტთან მოუხდა პაექრობა და მხოლოდ 54-ე წუთზე ლეჰტინენის (2+0,16) გოლის წყალობით გადაურჩა წაგებას. აღსანიშნავია, რომ ლიდერთა ორთაბრძოლა თანაბარი იყო და ფრე ლოგიკური შედეგი გახლდათ. კლუბები წინა შეხვედრაშიც დაზავდნენ, ეტყობა, საბოლოო ანგარიშსწორებას პლეი-ოფისთვის იტოვებენ.

სამაგიეროდ, დეტროიტმა ვაშინგტონთან ბოლომდე იბრძოლა და გამარჯვების შანსი ხელიდან არ გაუშვა. მესამე პერიოდში ვეტერანმა ლარიონოვმა ანგარიში გახსნა და „წითელფრთიანებმა" მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა დალასთან.

ზედიზედ მეათედ დამარცხდა აილენდერსი, თუმცა, ამჯერად „კუნძულელებს" აშკარად იღბალმა უმტყუნა. კაროლინასთან ნიუიორკელები სრულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ სტუმართა გოლკიპერმა ერთ გოლზე მეტი არ გაუშვა, ხოლო ოვერტაიმში ახალბედა ბატალიამ კარიერაში პირველი გოლით ორი ქულა მოუტანა „ქარიშხლებს".

ფილადელფიას ლიდერთა უგოლობამაც ვერ შეუშალა ხელი და აუტსაიდერი ტამპა იოლად, კლეტის 3 ქულის წყალობით (2+1,8) სძლია. ბუფალოს გოლკიპერ ჰაშეკს კი სან ხოსეს ვეტერანებმა, მაკლინმა (1+1,7) და ნიკოლსმა (2) დაწყვიტეს გული.

სნაიპერები: სელიანე (ანაჰაიმი) და ლეკლერი (ფილადელფია) 33, ტკაჩუკი (ფინიქსი) 28, ბონდრა (ვაშინგტონი) 27, ბურე (ვანკუვერი) 26, რექი (მონრეალი) 22, იაგრი (პიტსბურგი), პალფი (აილენდერსი), საკიკი (კოლორადო) და იაშინი (ოტავა) 20.

# ALL STARS
# ამერიკა — ევროპა

18 იანვარს ვანკუვერში ჩატარდება ტრადიციული „ოლ-სტარის" მატჩი, რომელიც უჩვეულო იქნება — პირველად ამ შეხვედრების ისტორიაში ჩრდილო ამერიკისა და ევროპის გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მოგეხსენებათ, გუნდების შემადგენლობა მაყურებელთა ყოველწლიური გამოკითხვის შედეგად ვლინდება.

ჩრდილო ამერიკის ნაკრების სასტარტო ექვსეული ასე გამოიყურება: პატრიკ რუა (მონრეალი); რეი ბურკი (ბოსტონი, ორივე კანადა) — ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი); ჯონ ლეკლერი (ორივე აშშ) — ერიკ ლინდროსი (ორივე ფილადელფია) — ბრენდან შენაჰანი (დეტროიტი, ორივე კანადა).

გუნდებს უფლება აქვთ, დაიმატონ ის ორი მოთამაშე, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ნჰლ-ში. წელს ეს პატივი მცველ **ელ მაკინისს** (სენტ ლუისი) და **მარკ მესიეს** (ვანკუვერი, ორივე კანადა) ერგოთ.

ზემოჩამოთვლილთა გარდა ჩრდილო ამერიკის გუნდის ღირსებას დაიცავენ:

მეკარეები: **ედ ბელფორი** (დალასი), **მარტინ ბროდო** (ნიუ ჯერსი)

მცველები: **სკოტ ნიდერმაიერი**, **სკოტ სტივენსი** (ორივე ნიუ ჯერსი), **დერილ საიდორი** (დალასი, ყველა კანადა), **კრის ჩელიოსი** (ჩიკაგო, აშშ).

ცენტრები: **უეინ გრეცკი** (რეინჯერსი), **ჯო საკიკი** (კოლორადო, ორივე კანადა), **მაიკ მოდანო** (დალასი), **დუგ უეიტი** (ედმონტონი, ორივე აშშ).

გარემარბები: **შეინ კორსონი**, **მარკ რექი** (ორივე მონრეალი), **უორენ ფლერი** (კალგარი, ყველა კანადა), **კეიტ ტკაჩუკი** (ფინიქსი), **ტონი ამონტე** (ჩიკაგო, ორივე აშშ).

ამერიკელთა მთავარი მწვრთნელი ნიუ ჯერსელი **ჟაკ ლემერი** იქნება, მას **კევინ კონსტანტინი** (პიტსბურგი) დაეხმარება. სამწუხაროდ, ვარსკვლავთა მატჩში ვერ ითამაშებს სენტლუისელი ჰალი, რომელიც მძიმედ დაშავდა.

ევროპელთა სასტარტო ექვსეულში ხუთი ქვეყნის წარმომადგენელია:

**დომინიკ ჰაშეკი** (ბუფალო, ჩეხეთი); **სანდის ოზოლინში** (კოლორადო, ლატვია) — **ვიაჩესლავ ფეტისოვი** (დეტროიტი, რუსეთი); **იარომირ იაგრი** (პიტსბურგი, ჩეხეთი) — **პეტერ ფორსბერგი** (კოლორადო, შვედეთი) — **ტეემუ სელიანე** (ანაჰაიმი, ფინეთი).

ევროპის ნაკრების საპატიო მოთამაშენი გახდნენ დეტროიტელი იგორ ლარიონოვი (რუსეთი) და კოლორადოელი იარი კური (ფინეთი). აღსანიშნავია, რომ კური თავის ბოლო სეზონს ატარებს ნჰლ-ში.

გუნდში ასევე ითამაშებენ:

მეკარეები: **ნიკოლაი ჰაბიბულინი** (ფინიქსი, რუსეთი), **ოლაფ კოლციგი** (ვაშინგტონი, გერმანია)

მცველები: **ნიკლას ლიდსტრიომი** (დეტროიტი, შვედეთი), **იგორ კრავჩუკი** (ოტავა), **სერგეი ზუბოვი** (დალასი), **დმიტრი მირონოვი** (ანაჰაიმი, ყველა რუსეთი)

ცენტრები: **ბობი ჰოლიკი** (ნიუ ჯერსი, ჩეხეთი), **მატს სუნდინი** (ტორონტო, შვედეთი), **საკუ კოივუ** (მონრეალი, ფინეთი)

გარემარბები: **დანიელ ალფრედსონი** (ოტავა, შვედეთი), **პეტერ ბონდრა** (ვაშინგტონი), **ზიგმუნდ პალფი** (აილენდერსი, ორივე სლოვაკეთი), **პაველ ბურე** (ვანკუვერი), **ვალერი კამენსკი** (კოლორადო, ორივე რუსეთი), **იერე ლეჰტინენი** (დალასი, ფინეთი)

ევროპელებს დასავლეთის საუკეთესო მწვრთნელები გაუძღვებიან: დალასელ **კენ ჰიჩკოკს** კანადის ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელი, კოლორადოელი **მარკ კროუფორდი** დაეხმარება.

**სამველ ლარიბიანი**

## მესიეს ორი კურდღელი



როგორც იქნა, ვანკუვერის გულშემატკივრებმაც გაიხარეს. გუნდის ლიდერმა და ლიგის მთავარმა ავტორიტეტმა მარკ მესიემ ფლორიდასთან მე-1000 პასი მიითვალა. მანამდე მხოლოდ ხუთმა ჰოკეისტმა შეძლო, ამ საპატიო ზღვარისთვის მიეღწია. გარდა ამისა, მარკმა 1590 ქულა დააგროვა და ნჰლ-ის ბომბარდირთა სიაში მე-4 ადგილზე მყოფ ფილ ესპოზიტოს გაუტოლდა. მას გრეცკი (2747), ჰოუ (1850) და დიონი (1771) უსწრებენ, რომელთაც მესიე, ალბათ, ვეღარ დაეწევა.

**1000 პასის კლუბი**

უეინ გრეცკი 1873, პოლ კოფი 1080, გორდი ჰოუ 1049, მარსელ დიონი 1040, რეი ბურკი 1019.

საწყლოსნო ჩემპიონატი

# მარათონი ზვიგენთა საუფლოში

ავსტრალიის ქალაქ პერტში მიმდინარე საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების მორიგი კომპლექტები გათამაშდა. რუსმა ალექსეი აკატიევმა, რომელმაც მანამდე 5 კილომეტრზე ცურვა მოიგო, კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა, ამჯერად 25-კილომეტრიან დისტანციაზე. შეჯიბრება ღია ზღვაში მიმდინარეობდა და ბევრი სპორტსმენთა უსაფრთხოებაში დაეჭვებულიც იყო, მაგრამ გაცურვის განმავლობაში ახლომახლო მხოლოდ ერთი „დაინტერესებული" ზვიგენი გამოჩნდა და ძრავების გრუხუნმა მასაც მალე გაუქრო რაიმე ულირსი ჩადენის სურვილი. მეორე ადგილი მცურავ მარათონელებში ესპანელ დევიდ მეკას დარჩა, მესამე — არგენტინელ გაბრიელ ჩაილუს.

მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში მხტომელ ვაჟებში ჩინელმა იუ ჟუოჩენგმა იმარჯვა 417,54 ქულით, მეორე ამერიკელი ტროი დიუმე იყო, მესამე — გერმანელი ჰოლგერ შლეპსი. ქალთა შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში რუსმა იულია პახალინამ გაიმარჯვა, რომელმაც დიდი უპირატესობით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ჩინელ ჟინ ჟინ გუოს. ბრინჯაოს მედალი ავსტრალიელ შანტელ მიშელს დარჩა.

გუშინ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე ვაჟთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ავსტრალიელმა მაიკლ კლიმმა. პოლონური წარმოშობის კლიმმა პირველი 150 მეტრი რეკორდულ დროში დაფარა, მაგრამ ბოლო 50 მეტრზე დაღლა დაეტყო და იტალიელ ჯორჯ ლამბერტის რეკორდი 1:46.09 წამი ხელუხლებელი დარჩა. კლიმის დრო 1:47.41 წამია. სხვათა შორის, მან ავსტრალიელებს პირველი ოქროს მედალი მოუტანა. მეორე ადგილზე გავიდა იტალიელი მასიმო როსოლინი — 1:48.30. იგი ევროპის ვიცე-ჩემპიონიცაა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ჰოლანდიელ პიტერ ვან დენ ჰუგენბენდს — 1:48.65.

გუშინვე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფრედერიკ დებურგრეივმა ოლიმპიურ ოქროს მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალიც შემატა — ბელგიელმა მოცურავემ 100-მეტრიან დისტანციაზე იმარჯვა ბრასის სტილით. თავგადაპარსულმა დებურგრეივმა ამ ჩემპიონატისთვის სათანადოდ მოსამზადებლად შარშან ბევრი საერთაშორისო ტურნირი გამოტოვა. მის შედეგს — 1:01.34 — მცირედით ჩამორჩა ვერცხლისმედალოსანი ჩინელი ზენგ ულიანგი 1:01.76. მან თავის მხრივ პანამერიკული თამაშების გამარჯვებული ამერიკელი კურტ გროტი ჩამოიტოვა. ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტი, უნგრელი ნორბერტ როშამ, რომელიც ბრასით ცურვაში მსოფლიოს ბოლო ორ ჩემპიონატზე პირველი იყო, ფინალურ ეტაპზე მოხვედრა ვერ მოახერხა.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე ქალებში გაიმარჯვა ამერიკელმა ჯენი ტომპსონმა, ვინაც დისტანცია 54.95 წამში დაფარა. მისი მთავარი კონკურენტი, ჩინელი ლი ხინხუი იდაყვის ტრავმის გამო შეჯიბრში არ მონაწილეობდა. ევროპის ვიცე ჩემპიონი, სლოვაკი მარტინა მორავკოვა ვერცხლს ვერც მსოფლიოს ჩემპიონატზე „გაექცა" — 55.09. მესამე ადგილი ჩინელმა შან იანგიმ დაიკავა.

ორშაბათს მედლების კიდევ ერთი კომპლექტი გათამაშდა — ქალთა შორის 400 მეტრზე კომპლექსური სტილით ცურვაში პირველობა 16 წლის ჩინელმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა ჩენ იანმა მოიპოვა — 4:36.66. მეორე ადგილი ევროპის ჩემპიონატის ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელს, უკრაინელ იანა კრუჩკოვას ერგო — 4:38.60, მესამე კი იაპონელი იასუკო ტაქიმა გახლდათ — 4:39.45.

წყალბურთელთა პირველობაზე კი ეს შედეგები დაფიქსირდა:

**ვაჟები:** ბრაზილია — სამხრეთ აფრიკა 8:4, ხორვატია — ახალი ზელანდია 19:3, უნგრეთი — იტალია 11:7, რუსეთი — ყაზახეთი 13:8, ესპანეთი — საბერძნეთი 7:6; იუგოსლავია — ირანი 18:4; აშშ — სლოვაკეთი 8:5; ავსტრალია — კანადა 10:5.

**ქალები:** კანადა — აშშ 3:2; უნგრეთი — ყაზახეთი 13:4; რუსეთი — ბრაზილია 9:3; საბერძნეთი — [illegible]პანეთი 4:3; რუსეთი — ბრაზ[illegible] 9:3; ჰოლანდია — იტალია 6:5 [illegible]ტრალია — ახალი ზელანდი[illegible]

# მთის თხილამურობის მსოფლიო თასი



## ჰერმანი პარპაშებს

25 წლის ექს-კალატოზი ჰერმან მაიერი იგებს და იგებს, ავსტრიის ნაკრების მწვრთნელი ვერნერ მარგრაიტერი კი თვალთმაქცობს და აცხადებს, ნაგანოში წასაყვანი გუნდი ჯერაც არ დამიდგენია; დღესდღეობით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მაიერს სუპერ-გიგანტის ოთხეულში მოხვედრის კარგი შანსი აქვსო.

არადა, გიგანტური სლალომისა და დაშვების შეჯვარებით მიღებული ეს სახეობა ჰერმანს თავის სტიქიად მიაჩნია. სამშაბათს დიდი სხვაობით — 244 მეასედით რომ მოიგო გიგანტური სლალომი, ხუთშაბათის სლალომი გამოტოვა, რათა შაბათ-კვირის ტყუპი სუპერ-გიგანტისთვის უკეთ მომზადებულიყო. რაც უნდა იყოს, მსოფლიო თასის დასს მასპინძლობდა დაბა შლადმინგი, საიდანაც მაიერის მშობლიურ ფლახაუმდე სულ რაღაც 40 კილომეტრია.

ავსტრიელებს მსოფლიო თასის აბსოლუტური გამარჯვებული ვაჟი კარლ შრანცის შემდეგ აღარ ყოლიათ. ამ დიდმა მოთხილამურემ 1969 და 1970 წლებში ისახელა თავი. მართალია, თასის ხუთგზის მფლობელი მარკ ჟირარდელიც ავსტრიელი იყო, მაგრამ იგი ლუქსემბურგის სახელით დასრიალებდა. ერთი სიტყვით, წელს დიდი სათხილამურო ტრადიციების პატრონი ქვეყანა ჰერმანის წყალობით ალბათ ნავსს გატეხს.

თავად სპორტსმენსაც ეს დაუსახავს მთავარ მიზნად, თორემ ოლიმპიადას არად დაგიდევთ. გარდა ამისა, მაინცდამაინც არ თავმდაბლობით გამოირჩევა. რომ კითხეს, შლადმინგის უიკ-ენდი „მაიერის ფესტივლად" ხომ არ იქცევაო, მიუგო, ვნახოთო. ისე კი, თხილამურობის ამ მექაში სუპერ-გიგანტი ათწლიანი შესვენების შემდეგ გაიმართა.

მაიერმა ორჯერვე დათრგუნა მეტოქეები, მათ შორის თანაგუნდელებიც. შაბათის ასპარეზობის შემდეგ ავსტრიის ტელევიზიის კომენტატორმა ჰერმანს სხვა გალაქტიკიდან მოსული მოთხილამურე უწოდა, კვირას კი შიფერერიც მსგავს აზრზე დადგა, როცა თქვა, დედამიწელთაგან საუკეთესო მეგიგანტე მე ვარ, მაიერი კი უცხოპლანეტელიაო.

მაიერი სასწაულად კარგად ყოფილა მომზადებული, რის გამოც ლაღად სრიალებს. სასტარტო ჯიხურიდან რომ გადმოხტება, მისივე თქმით, თხილამურებს ნებაზე მიუშვებს და ასე გადის პირველ ადგილზე.

ეს აზრი ჭეშმარიტებასთან ახლო რომაა, კვირასაც დამტკიცდა. ეტაპი ფათერაკიანად დაიწყო: თავიდან დაშვებული ექვსი მოასპარეზიდან ხუთს კარი გამორჩა. მაიერს რიგი მერვეს რომ უწია, ერთობ ლონივრად ისკუპა და გრიალ-გრიალით ჩაამთავრა ტრასა.

ამ დღეს ავსტრიელებმა ამ სეზონში ეს უკვე მე-13 გამარჯვება მოიპოვეს და კვარცხლბეკი მეოთხედ შეავსეს. ბიჭები უარეს შედეგს თუ დაჯერდებიან, მარად უკმაყოფილო მარგრაიტერი ერთი მაგრად დატუქსავს და ვარჯიშებზე მეტად დატვირთავს.

ქალები იტალიის დაბა ბორმიოს გაუშინაურდნენ. თუ ორშაბათსა და სამშაბათს იქ სლალომი და გიგანტური გერმანიიდან გადაიტანეს, უქმეებზე იქვე მარიბორში (სლოვენია) ჩაშლილი იგივე ორი დისციპლინა გაიმართა და აღიარებულ ლიდერთა დამარცხებით დასრულდა.

დებორა კომპანიონი ბორმიოდან 10 კილომეტრის მოშორებით მდებარე სანტა-კატერინაში რომაა დაბადებული, იქაურები ფრიად ქომაგობენ, მაგრამ შაბათს 27 წლის ქალს სიცხე ჰქონდა და მუხლი ტკიოდა, რის გამოც ზედიზედ მეცხრე გიგანტური ველარ მოიგო, რასაც ფილოსოფიურად მიუდგა, ესაო და ჯობდა ჩემი წაუგებელი სერია ახლა გაწყვეტილიყო და არა ნაგანოშიო.

24 წლის ერტლისთვის უიკ-ენდის გამარჯვება კარიერაში მერვეა, სლალომის მომგები 22 წლის გერგისთვის — მეოთხე. ეს გერმანელი გოგო უფრო ჩქაროსნული დისციპლინების ოსტატადაა ცნობილი და ამდენად გასაკვირი სულაც არაა, რომ სლალომი ცხოვრებაში პირველად მოიგო.

კვირას I ცდის შემდეგ წინ 22 წლის ამერიკელი კოზნიკი იყო, მაგრამ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ გაუძლო, თუმცკი ეტაპიდან ეტაპამდე აუმჯობესებს შედეგს. რაც შეეხება ზედიზედ ოთხი სლალომის მომგებ შვედ ნოვენს, იგი გამოტყდა, ცდა არ დამიკლია, მაგრამ მაინც ვერაფერი გამომივიდაო.

დღეს ვაჟები ადელბოდენში (შვეიცარია) გიგანტურ სლალომს გამართავენ. პარასკევ-შაბათს ვენგენში (შვეიცარია) ტყუპი დაშვებაა, კვირა-ორშაბათს კი მეზობელ ვეისონაზში — ორი სლალომი. ერთი მათგანი იმის მაგიერია, 22 დეკემბერს მადონადიკამპილიოში (იტალია) რომ ჩაიშალა და იქაურთა კერპ ალბერტო ტომბას ამბოხი დაგვიგვიანდა.

ირაკლი ნინუა

### ვაჟები

შლადმინგი (ავსტრია). „პლანაი"

10.01. სუპერ-გიგანტი: 1. ჰერმან მაიერი (ავსტრია); 2. შტეფან ებერჰარტერი (ავს) ჩამორჩა ნამის 115 მეასედით; 3. ლუკა კატანეო (იტალია) 141; 4. ფრედრიკ ნიუბერგი (შვედეთი) 162; 5. პატრიკ იერბიუნი (შვედ) 190; 6. ანდრეას შიფერერი (ავს) 202

11.01. სუპერ-გიგანტი: 1. ჰ. მაიერი; 2. შიფერერი 119; 3. ებერჰარტერი 130; 4-5. რაინერ ზალცგებერი (ავს) და პეტერ რუნგალდიერი (იტალია) 170; 6. იერბიუნი 181

სეზონის 3 სუპერ-გიგანტის ჯამი: მაიერი 300 ქულა; ებერჰარტერი 220; შიფერერი 120

სეზონის 18 ეტაპის ჯამი: ჰ. მაიერი 1 019 ქულა; ებერჰარტერი 628; შიფერერი 566; მიხაელ ფონგრუნიგენი (შვეიცარია) 456; კრისტიან მაიერი (ავს) 394; ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) 390; ალბერტო ტომბა (იტალია) 366

### ქალები

ბორმიო (იტალია). „სტელვიო"

10.01. გიგანტური სლალომი: 1. მარტინა ერტლი (გერმანია); 2. კატია ზაიცინგერი (გერმ) ჩამორჩა ნამის 74 მეასედით; 3. დებორა კომპანიონი (იტალია) 78; 4. ანდრინ ფლემენი (ნორვეგია) 96; 5. სონია ნეფი (შვეიცარია) 157; 6. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 177

სეზონის 5 გიგანტურის ჯამი: კომპანიონი 460 ქულა; ერტლი 311; მაისნიცერი 276; ფლემენი 214; ნეფი 193; ზაიცინგერი 175

11.01. სლალომი: 1. ჰილდე გერგი (გერმ); 2. კრისტინა კოზნიკი (აშშ) 27; 3. სპელა პრეტნარი (სლოვენია) 51; ... 7. კომპანიონი 148; 8. ურსკა ჰროვატი (სლოვ) 160; 9. იულვა ნოვენი (შვედეთი) 161; ... 22. ზალი სტეგალი (ავსტრალია) 295

სეზონის 6 სლალომის ჯამი: ნოვენი 509 ქულა; კოზნიკი 350; გერგი 279; კომპანიონი 278; ჰროვატი 228; სტეგალი 220; პრეტნარი 183

სეზონის 20 ეტაპის ჯამი: ზაიცინგერი 1 079 ქულა; გერგი 902; კომპანიონი 781; ერტლი 739; ნოვენი 662; მაისნიცერი 561


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge


# რაგბი




## ძველი ნაცნობი

1999 წლის მსოფლიო თასის მთავარ აღმასრულებლად ზედ შობის წინ დაინიშნა ცნობილი უელსელი მოღვაწე კით როულენდზი.

ბატონ კითს ქართული რაგბის თემის წინაშე წარდგენა არ ჰირდება. 1987-95 წლებში სწორედ იგი იყო რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) მდივანი. მისი ზეობის განმავლობაში რვა წევრის მყოლი ორგანიზაცია რაგბის ჭეშმარიტ მსოფლიო ფორუმად იქცა, რასაც თუნდაც ის მოწმობს, რომ მსოფლიო თასში 70 ქვეყანა მონაწილეობს.

როულენდზის ამაგი რაგბის წინაშე განუზომელია. მან დააკვალიანა საყვარელი თამაში მოყვარულობიდან პროფესიონალიზმზე გადასვლის დროს. ახლაც, როგორც ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ განაცხადა, ცდას არ დააკლებს, რათა IV მსოფლიო თასი, რაც რაგბი არსებობს, საუკეთესო შეჯიბრი იყოს.

რეზო ნემსაძე


რაგბის სამყარო ESPN
მსოფლიო რაგბის კვირეული მიმოხილვა
WORLD OF RUGBY
16.01 - 19:30; 17.01 - 4:00
23.01 - 18:00; 24.01 - 4:00; 27.01 - 20:30
30.01 - 18:00; 31.01 - 4:00
საქართველოს თარიღითა და დროით


# პარიზი — დაკარის XX რალი



## კი აღდგა, მაგრამ ყაჩაღებმა მოიკითხეს

კრიზისმა გადაიარა. სანქებო ტრადიციაც აღდგა. ფრანგი ტიერი საბინის მიერ 1978 წელს დაწყებული საქმე გრძელდება: ახალი წლის დღეს ვერსალის სასახლიდან რალთა რალი „პარიზი — დაკარი" მეოცედ გაჩაღდა.

შარშან შეჯიბრის სახელში საფრანგეთის დედაქალაქის ხსენებაც აღარ იყო. ავტო-მოტო ქარავანი სენეგალის დედაქალაქ დაკარიდან აგადესში (ნიგერი) ჩავიდა, მერე კი უკანვე მიბრუნდა. და მაინც, ორგანიზატორებმა იხტიბარი არ გაიტეხეს და განაცხადეს, დაკარი უპარიზოდაც დაკარობს, შეჯიბრიც აფრიკამ შვა და მასვე ეკუთვნისო.

რალთა რალი 1988 წლამდე იფურჩქნებოდა. იმ წელს ვერსალიდან სარეკორდოდ ბევრი — 603 ეკიპაჟი დაადგა შორ გზას, მაგრამ მერე შეჯიბრი თანდათან დაკნინდა და 1994 წელს 165 მონაწილესღა მოუყარა თავი. ბოლოს რა მოხდა, ზემოთ ვთქვით.

წელს რალში 370 მანქანა მონაწილეობს. მთავარი ორგანიზატორია ფრანგი იუბერ ორიოლი, ვისაც „პარიზი — დაკარი" მოტოციკლით ორჯერ მოუგია, ავტოთი კი — ერთხელ. იგი ამბობს, ხალხი ჩვენს რალში ორი მიზნით ებმება: ერთ ნაწილს პირველობა სურს, მეორეს — აფრიკის გაცნობა და გართობაო. ამაზე მთის თხილამურობის მსოფლიო თასის შარშანდელ აბსოლუტურ ჩემპიონს, ფრანგ ლიუკ ალფონს მოსწრებულად შეუნიშნავს, ჩემი „მიცუბიშით" აფრიკასაც დავიმულამებ და თხილამურობას თავმინებებული რბოლის ჟინსაც მოვიკლავო.

წლევანდელი მარშრუტი ტრადიციულია. სიგრძე 10 245 კილომეტრი აქვს. სენეგალაში მისვლამდე ქარავანმა უნდა გადასეროს საფრანგეთი, ესპანეთი, მაროკო, სეპარატისტთა ბუდე საჰრავი, მავრიტანია და მალიც. ფინიში კვირას, 18 იანვარსაა.

პარიზიდან ქარავანი 10 ათასმა მოსეირემ გააცილა. ერთადერთ ჩქაროსნულ ეტაპს 68 ათასმა კაცმა უყურა. ავტოთა კატეგორიაში თავიდანვე წინ გაიჭრა 1993 წლის გამარჯვებული, ფრანგი ბრიუნო საბი, ვისაც მავრიტანიაშილა აჯობა თანამემამულე ჟან-პიერ ფონტანეიმ. ეს პილოტი შარშანდელ რალში II ადგილზე გავიდა, საბი მაშინ III იყო, ხოლო გაიმარჯვა იაპონელმა კენძირო შინოზუკამ. IV ადგილზე ასევე იაპონელი ჰიროში მასუოკა გავიდა. წელს ოთხივე „მიცუბიშით" ასპარეზობს და სერიოზული მეტოქეც არა ჰყავს, რადგან რალის დებიუტანტი მარკით — ამერიკული „პროტრაკით" მოასპარეზე ფრანგი პიერ ლარტიგი საკონტროლო პუნქტში დაგვიანების გამო 8 საათით (!) დააჯარიმეს, „ბაგით" მრბოლი გერმანელ ქალ იუტა კლაინშმიდტს კი პარასკევს უმტყუნა მანქანამ.

მოტოციკლთა კატეგორიაში მეექვსე გამარჯვებას უმიზნებს „იამაჰას" მხედარი, ფრანგი სტეფან პეტრანსელი. ამ ოსტატმა თავიდან, ევროპაშივე არ იჩქარა და დაწინაურება უდაბნოსთვის გადადო. ერთი ეგ იყო, რომ 6 იანვარს გზა აებნა და 12 წუთით იზარალა, მაგრამ ორი დღის თავზე ლიდერობა მაინც დაიბრუნა. ამასობაში გავარდნენ სტეფანის ერთ-ერთი კონკურენტი, ფრანგივე ტიერი მანიალდი (კტმ) და რალის ოთხგზის გამარჯვებული (1988, 90, 94, 96), იტალიელი ედი ორიოლი (ბმვ).

„პარიზი — დაკარი" ხიფათიანი ექსპედიცია რომაა, პარასკევ ღამითაც დადასტურდა.



ჩამორჩენილი მანქანები ტავდენის ბანაკისკენ რომ მიემართებოდნენ, მათ ორჯერ დაესხათ თავს ყაჩაღთა 8-კაციანი რაზმი. არავინ დაჭრილა, მაგრამ ავაზაკებმა ერთი მანქანა გაიტაცეს. მის მოსაძებნად მალის ხელისუფლებამ სამხედრო შვეულმფრენიც კი ააფრინა, ორგანიზატორებმა კი შაბათის სტადია ხომ ვერ გამართეს და ვერც კვირას გაწირეს მონაწილენი, თუმცკი ოფიციალურად სულ სხვაგვარად ახსნეს ასპარეზობის შეფერხება: რალის ბოლო კვირისთვის მაჩანჩალები დაწინაურებულებს ხომ უნდა წამოეწიონო.

შეჯიბრი გუშინ უნდა განახლებულიყო.

თენგიზ არტამონოვი

| სტადია | თარიღი | საიდან | სადამდე | მანძილი სულ | მანძილი ჩქარი | ავტოები: გამარჯვებული | ავტოები: ლიდერი | ავტოები: სხვაობა | ავტოები: მდევარი | მოტოციკლები: გამარჯვებული | მოტოციკლები: ლიდერი | მოტოციკლები: სხვაობა | მოტოციკლები: მდევარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | 1.01 | ვერსალი (საფრ) | ნარბონი | 938 | 12 | საბი (საფრ, მ) | - | .16 | შინოზუკა | ფლიკი (საფრ, ჰ) | - | .08 | ფაზოლა |
| II | 2.01 | ნარბონი (საფრ) | გრანადა | 1182 | 35 | საბი | საბი | 1.38 | ფონტანეი | ფაზოლა (იტალია, კტმ) | ფაზოლა | 1.14 | ზალა (იტ, კტმ) |
| III, IV | 3.01 | გრანადა (ესპ) | ალმერია (ესპ) | 184 | 40 | ლარტიგი (საფრ, პ) | საბი | .20 | ლარტიგი | გაიარდო (ესპ, ბმვ) | გაიარდო | 1.12 | რომა (ესპ, კტმ) |
| [illegible] | 4.01 | ნადორი (მაროკო) | ერ-რაშიდია | 613 | 247 | მასუოკა (იაპ, მ) | საბი | 1.14 | ფონტანეი | პეტრანსელი (საფრ, ი) | პეტრანსელი | 2.24 | სენკი (საფრ, კტმ) |
|  | 5.01 | ერ-რაშიდია (მარ) | ვარზაზატი | 557 | 344 | შინოზუკა (იაპ, მ) | საბი | 2.38 | შინოზუკა | მეონი (იტ, კტმ) | მეონი | 1.39 | რომა |
|  | 6.01 | ვარზაზატი (მარ) | სმარა | 1050 | 354 | ფონტანეი (საფრ, მ) | საბი | 1.16 | ფონტანეი | კატრინაკი (სლოვაკ, კტმ) | რომა | 2.37 | მეონი |
|  | 7.01 | სმარა (საჰრავი) | ზუერატი | 613 | 494 | შინოზუკა | ფონტანეი | 1.10 | საბი | პეტრანსელი | პეტრანსელი | 2.25 | მეონი |
| [illegible] | [illegible] | ზუერატი (მავრიტ) | ელ-მრეიტი | 684 | 680 | ფონტანეი | ფონტანეი | 14.27 | საბი | პეიდონი (ავსტრალ, კტმ) | პეტრანსელი | .49 | რომა |
| [illegible] | [illegible] | ელ-მრეიტი (მავრ) | ტავდენი |  | 478 | მასუოკა | ფონტანეი | 10.42 | საბი | მეონი | პეტრანსელი | 4.58 | რომა |
| [illegible] | [illegible] | ტავდენი (მალი) | გაო (მალი) |  | 918 | — ჩაიშალა — |  |  |  |  |  |  |  |

მარკები: ი იამაჰა, მ მიცუბიში, პ პროტრაკი, ჰ ჰონდა; სხვაობა წუთი. წამი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო აზვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29